პროლეტარიელო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მთავრობათა დეპუტატების საბჭოების ორგანო

KOMUNISTI
ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოდის 28-ე წელი

ხუთშაბათი, 25 მარტი, 1948 წ. № 62 (8106). ფასი 20 კაპ.

გუშინ, 24 მარტს, თბილისის გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო დრამატიულ თეატრში გაიხსნა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მესამე სესია. სესიამ მოისმინა საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრის დეპუტატ რ. ა. კვირკველიას მოხსენება და უმაღლესი საბჭოს საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ კ. გ. პიპინაძის თანამოხსენება საქართველოს სსრ 1948 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ.

საქართველოს სსრ მეორე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მესამე სესია. პრეზიდიუმის მაგიდის თან—უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ვ. გოგუა (ზუგდიდი), უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები—ვ. ხარაზია (მარცხნივ) და შ. შარაშიძე, ლიეტუბა—(მარცხნიდან მარჯვნივ) ი. მოსაშვილი, გენერალ-მაიორი ნ. ეგოროვი, მ. ბარამია, კ. ჩარკვიანი, ბ. დელმა, გ. სტურუა, ზ. ჩხეიძიანიშვილი, ზ. კეკენაძე, ვ. ბაქრაძე, ს. ობოლენეი, კ. ცომაყრიძე, ტრიბუნაზე—საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრი რ. კვირკველია.

ფოტო ვლ. გიზბერგისა და რ. აკოფოვისა

ხუთწლედის მესამე წლის ბიუჯეტი

გუშინ თბილისის გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო დრამატიულ თეატრში გაიხსნა საქართველოს უმაღლესი საბჭოს სესიაზე განსახილველად და დასამტკიცებლად წარდგენილი 1948 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი.

საქართველოს სსრ 1948 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი თითქმის ორჯერ მეტია ომამდელ 1940 წლის ბიუჯეტთან შედარებით. მიმდინარე წლის ბიუჯეტი პროექტით შემოსავლის ნაწილში განსაზღვრულია 2.338.460 ათასი მანეთით და გასავლის ნაწილში 2.336.582 ათასი მანეთით. შემოსავალი აჭარბებს გასავალს 1.878 ათასი მანეთით.

1947 წლის ბიუჯეტთან შედარებით 1948 წლის ბიუჯეტის შემოსავალი იზრდება 178.365 ათასი მანეთით, ანუ 8,3 პროცენტით, ხოლო გასავალი—176.487 ათასი მანეთით, ანუ 8,2 პროცენტით. ეს ციფრები ნათლად ასახავენ ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის უდიდეს მზრუნველობას ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის სწრაფად აღდგენისა და განვითარებისათვის, მშრომელთა ფართო მასების კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ ჩვენი რესპუბლიკის ბიუჯეტის ძირითად საშემოსავლო წყაროს ბრუნვის გადასახადი წარმოადგენს. ამ გადასახადის საერთო მოცულობა 1948 წლისათვის განსაზღვრულია 5 მილიარდ 308 მილიონი მანეთით. დასახლებული თანხის 19,5 პროცენტი ჩაირიცხება ჩვენი რესპუბლიკის ბიუჯეტში და მოხმარდება საქართველოს სახალხო მეურნეობის შემდგომ აღმავლობასა და განვითარებას. რესპუბლიკის მრეწველობისა და გამაყიფელი ორგანიზაციების ყოველი საწარმოს, სავაჭრო ორგანიზაციების ხელმძღვანელთა წინაშე მოვალეობაა ფრთხილად და გადაჭარბებით შეასრულონ სასაქონლო პროდუქციის გამოშვებისა და რეალიზაციის საპროგრამო დავალებანი და საქონელბრუნვის გეგმები.

მხოლოდ სამეფო ნორგანიზაციების ხელმძღვანელთა დაუდევრობით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ გასულ წელს, საერთო გეგმის გადაჭარბებით შესრულების მიუხედავად, საქართველოს სსრ საგიმნაზიო მრეწველობის სამინისტროს 13 საწარმომ და ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს 10 საწარმომ ვერ შეასრულეს სასაკონლო პროდუქციის გამოშვებისა და რეალიზაციის გეგმები. ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს საწარმოებში პროდუქციის ასორტიმენტისა და ხარისხის საკითხს ნაკლები ყურადღება ექცევა, რის შედეგადაც ამ საწარმოთა მიერ გამოშვებული პროდუქციის მნიშვნელოვანი ნაწილის რეალიზაცია ფერხდება. ზოგიერთ სამეურნეო მუშაკს ავიწყდება, რომ მთ მიერ სახელმწიფო ვალდებულებათა შეუსრულებლობა ამცირებს ბიუჯეტის შემოსავალს და ზღუდავს საბჭოთა ეკონომის განვითარების შესაძლებლობას.

იმ დროს, როდესაც მთელს ჩვენს ქვეყანაში გაჩაღებულია ფართო მოძრაობა უმკაცრესი ეკონომიის რეჟიმისათვის, სახელმწიფო დოტაციაზე უარისათვის და სოციალისტური დაგროვების გადიდებისათვის, ჩვენი რესპუბლიკის ზოგიერთი სამეურნეო ორგანიზაცია და დაწესებულება უანგარიშოდ ხარჯავენ სახელმწიფო სახსრებს, ხელოვნურად ადიდებენ სამმართველო ნარჯებს და ყოველივე ამით ამცირებენ საბჭოთა მანეთის მნიშვნელობას. პარტია და მთავრობა, რომლებიც ხალხის ნება-სურვილს გამოხატავენ, მოითხოვენ, რომ ბოლო მოეღოს ზელგაშლილობას სახელმწიფო სახსრების ნარჯვაში, მტკიცედ იქნას დაცული სამეურნეო-საფინანსო დისციპლინა.

ხუთწლედის ოთხ წელიწადში შესრულების ინტერესები მოითხოვენ გავშალოთ მძლავრი შემოქმედებითი მუშაობა 1948 წლის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის შესასრულებლად. მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობის გაუმჯობესებასთან ერთად უნდა აღმოიფხვრათ საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციების მუშობაში არსებული ნაკლოვანებანი, მივაღწიოთ იმას, რომ თვითეული საწარმო, თვითეული მშენებლობა, თვითეული საამქრო და დაზგა მთლიანად და გადაჭარბებით ასრულებდეს დღიურ, თვიურ და კვარტალურ გეგმებს ყველა მაჩვენებლის მიხედვით.

ცოტა როდი ჩვენს რესპუბლიკაში მრეწველობის ისეთი დარგი და საწარმო, რომელიც სახელმწიფოს მნიშვნელოვან ვოგებას აძლევს. მთ უნდა მიბაძონ დანარჩენებმა, მათგან აიღონ მაგალითი, მათგან ისწავლონ სახელმწიფოს წინაშე თავისი ვალდებულების პირნათლად მოხდა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს განსახილველად და დასამტკიცებლად წარდგენილი საქართველოს სსრ 1948 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი ძალიანად შეესაბამება ახალი სტალინური ხუთწლედის მესამე წლის ამოცანებს, ჩვენი რესპუბლიკის მეურნეობის, კულტურისა და მეცნიერების შემდგომი აყვავების ამოცანებს, მშრომელთა ცხოვრების მატერიალური დონის სისტემატური ამაღლების ამოცანებს.

ეჭვი არ არის, საბჭოთა საქართველოს მშრომელები ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რომ წარმატებით შეასრულონ 1948 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი და ახალ შესანიშნავ გამარჯვებებს მიაღწიონ ბოლშევიკური პარტიის, ხალხთა საყვარელი ბელადისა და მასწავლებლის დიდი სტალინის მიერ დასახულ დიად სამეფოთა პროგრამის განხორციელებაში.

საინფორმაციო ცნობა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს 1948 წლის 24 მარტის სხდომის შესახებ

24 მარტს, საღამოს 8 საათზე, თბილისის გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო დრამატიულ თეატრში გაიხსნა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მესამე სესია.

თავმჯდომარის მაგიდას უსხედან: საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დეპუტატი **ვ. ბ. გოგუა** და თავმჯდომარის მოადგილეები დეპუტატები **ვ. ნ. ხარაზია** და დეპუტატი **შ. კ. შარაშიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დეპუტატი **ვ. ბ. გოგუა** აცხადებს, რომ სესიის განსახილველად შემოტანილია შემდეგი საკითხები:

1. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 1948 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის დამტკიცება.

საკითხი შემოაქვს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

2. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცება.

საკითხი შემოაქვს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს.

3. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს და სპეციალური სასამართლოების სახალხო შაოკულთა არჩევნები.

დეპუტატ **მ. ვ. ალადერდაშვილის** წინადადებით უმაღლეს საბჭოს ეს საკითხები ერთხმად შეაქვს სესიის დღის წესრიგში.

შემდეგ თავმჯდომარე საქართველოს სსრ 1948 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ მოხსენებისათვის სიტყვას აძლევს საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრს დეპუტატ **რ. ა. კვირკველიას.**

ამხ. კვირკველიას მოხსენების შემდეგ უმაღლესმა საბჭომ მოისმინა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ **კ. გ. პიპინაძის** თანამოხსენება.

ამით დაიხურა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პირველი სხდომა.

მოსკოვიდან გაემგზავრა ბულგარეთის მთავრობის დელეგაცია

24 მარტს მოსკოვიდან გაემგზავრნენ ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ბ-ნი გ. დიმიტროვი, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე და საგარეო საქმეთა მინისტრი ბ-ნი ვ. კოლაროვი, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე და ელექტროფიკაციისა და ელეონრაციის მინისტრი ბ-ნი კ. გეორგიევი, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები ბ-ნი ტ. კოსტოვი და ბ-ნი ბ. პოპოვი, კეთილდღეობისა და კომუნალური მეურნეობის მინისტრი ბ-ნი პ. კემენოვი და სხვა ოფიციალური პირები.

მიმავალნი ცენტრალურ აეროდრომზე გააცილეს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეებმა ა. ი. ვიშინსკიმ და ვ. ა. ზორინმა, სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის მინისტრის მოადგილემ ა. ფ. კრუტიკოვმა, აზერბაიჯანელმა ა. ი. ანტონოვმა, მოსკოვის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ტ. ა. სელეზნიოვმა, ქალაქ მოსკოვის კომენდანტმა გენერალ-ლეიტენანტმა კ. რ. სიხილოვმა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს ბალკანეთის ქვეყნების განყოფილების გამგის მოვალეობის აღმასრულებელმა ს. ა. კირსანოვმა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო განყოფილების გამგემ თ. თ. მოლოჩკოვმა.

მიმავალი აგრეთვე გააცილეს ბულგარეთის საკავშირო დელეგაციის წევრებმა ვაჭრობისა და სურსათის მინისტრის ბ-ნ კ. დობრევის მეთაურობით, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის დესპანმა სსრ კავშირში ბ-ნმა ბ. ნიკოლოვმა და მოსკოვში აკრედიტებული მთელი რიგი საელჩოებისა და მისიების მეთაურებმა.

გაცილებისას ჩაჰმკრავებელი იყო საპატიო ყარაული და მესრულებულ იქნა ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნები.

აეროდრომი მორთული იყო ბულგარეთისა და საბჭოთა კავშირის ალმებით. (საკდუნ).

ბ. დიმიტროვის განცხადება

მოსკოვიდან გამგზავრების წინ ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ბ-ნმა გ. დიმიტროვმა აეროდრომზე მიკროფონის წინ შემდეგი განცხადება გააკეთა:

„ერთი კვირის წინათ ჩვენ მოსკოვს ჩამოვედით როგორც საბჭოთა ხალხის ერთგული მეგობრები.

დღეს მოსკოვს ვტოვებთ ულრმესი რწმენის გრძნობით საბჭოთა კავშირ-ბულგარეთის ურღვევი მეგობრობისადმი, რაც განმტკიცებულია ჩვენს ქვეყნებს შორის დადებული ისტორიული ხელშეკრულებით, რომელიც საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების საქმეში შეტანილ ძვირფას, დიდმნიშვნელოვან წვლილს წარმოადგენს.

ჩვენ მივდივართ ულრმესი მადლობის გრძნობით საბჭოთა ხალხისადმი, მისი მთავრობისადმი, გენერალისიმუს იოსებ ბესარიონის-ძე სტალინისადმი, მისი სახელოვანი თანამებრძოლის ვიაჩესლავ მიხეილის-ძე მოლოტოვისადმი, ამაგებულ სიმამაცე რაოდენობა ბულგარელი ხალხი სრული საფუძვლით და სიამაყით თავის საუკეთესო მეგობრებად სთვლის.

ყოველ ვიცნობ რა ჩვენს ხალხს, შეძლილია მტკიცედ განვეცხადოთ საბჭოთა ძმებს, რომ იგი ბოლომდე ერთგულ მეგობარად დარჩება. რაც უნდა მოხდეს მომავალში, ბულგარელი ხალხი არასოდეს არ უღალატებს ! თავის უფროს ძმას — განმათავისუფლებელს.

საბჭოთა ხალხს ხელმძღვანელებსა და წარმომადგენლებს შორის ჩვენს მიერ გატარებული რამდენიმე დღე, ჩვენს გულში წარუშლელ მოგონებას სტოვებს. ნამდვილი ალტაცებით ვნახეთ და ვიგრძნეთ უდიდესი აღფალობა, შესანიშნავი შრომითი ენთუზიაზმი და გვირაბა საბჭოელის ქვეყნის მუშათა კლასისა, გლეხობისა, ინტელიგენციისა, რომლებიც ურყევი სიმტკიცით ახორციელებენ „გრანდიოზულ ხუთწლიან გეგმას ოთხ წელიწადში.

იმ მომენტში, როდა იმპერიალიზმის ქვეყნებში ხელოვნურად აჩაღებენ გაჭიანურებულ ომის ცეცხლს, ჩვენ ვიბრძვეთ ერთ-ერთ ასეთ ადგილზე, სადაც მინისტრთა საბჭოს შენობაა, გიმაძთა ციტინგი, რომელზეც 200.000-მდე მშრომელმა მოიყარა თავი. გ. დიმიტროვის გამოჩენამ შეკრებილნი მეტუხარე, ხანგრძლივი ოვაციათ მიეგებნენ.

მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების შესახებ მოსკოვში დადებულ საბჭოთა კავშირ-ბულგარეთის ხელშეკრულებას, სოფეა დიმიტროვმა, ისტორიული მნიშვნელობა აქვს. იგი სამეფოამოდ განამტკიცებს ძმურ კავშირს ორივე ქვეყანას შორის. ამიერიდან ბულგარეთი და საბჭოთა კავშირი ერთმანეთის ყველაზე ერთგული მოკავშირეებია. არიან ომის გამეჩხერებულთა წინააღმდეგ მტკიცე მშვიდობისა და საერთაშორისო თანამშრომლობისათვის ბრძოლაში.

მიტინგის შემდეგ მშრომელთა გრანდიოზული დემონსტრაცია გაიმართა.

ბულგარეთის მთავრობის დელეგაცია სოფიას დაბრუნდა

სოფია, 24 მარტი. (საკდუნ). დღეს მოსკოვიდან დაბრუნდა ბულგარეთის მთავრობის დელეგაცია ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის გ. დიმიტროვის მეთაურობით.

მთელ გზაზე აეროდრომიდან მინისტრთა საბჭოს სასახლემდე ათეულ ათასობით მშრომელნი მიესალმებოდნენ მთავრობის დელეგაციას და ულოცავდნენ საბჭოთა კავშირ-ბულგარეთის ხელშეკრულების ხელმოწერას.

ზესაფონელ მეჯაღურგთა ახალი გამარჯვება

ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის მარგანეცის საამქროს კოლექტივმა (ფეროსსი ბ. ლომთათიძე) მორიგი საწარმოო გამარჯვება მოიპოვა—კვარტალური გეგმა 20 მარტისათვის 106 პროცენტით შესრულა. პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისა და შრომის ნაყოფიერების გადიდების, ეკონომიურობა ბრიგადა მომპერნენობის მტკიცედ განხორციელების შედეგად საამქროს მიმდინარე წლის დასაწყისიდან 200.000 მანეთი დაგროვება აქვს.

საამქროს კოლექტივში განსაკუთრებით ისახელა თავი მეორე ცეცხლ (უფროსი დ. კოჭნარიძე, მდნობელთა ბრიგადირი ა. სვანიძე). ახლა საამქრო კვარტალური გეგმის გადამეტებით იმლეცავ მაღალხარისხოვან ლითონს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მესამე სესია

საქართველოს სსრ 1948 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ

საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრის დეპუტატ რ. ა. კვირკველიას მოხსენება

ამხანაგო დეპუტატებო! მესამე წელია მას შემდეგ, რაც საბჭოთა ხალხმა ბრწყინვალე გამარჯვებით დაასრულა სამამულო ომი ფაშისტური გერმანიისა და იმპერიალისტური იაპონიის წინააღმდეგ და შეუდგა კომუნიზმის მშენებლობის დიადი ამოცანების შესრულებას თავისი საყვარელი ბელადის დიდი სტალინის წინამძღოლობით. (მქუხარე ტაში).

უაღრესი სიხარულითა და კმაყოფილებით შეხვდნენ საბჭოთა ადამიანები სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის ცნობას იმის შესახებ, რომ ჩვენმა ქვეყანამ წარმატებით შეასრულა ომისშემდგომი სტალინური ხუთწლედის მეორე წლის სახალხო-სამეურნეო გეგმა და რომ გასული წლის ოქტომბერში უკვე მიღწეულ იქნა სამრეწველო პროდუქციის გამოშვების ომამდელი დონე.

მაშინ, როდესაც კაპიტალისტური ქვეყნების ეკონომიკა თავდაღმა მიექანება, მკვეთრად ძლიერდება ინფლაცია, მცირდება ხელფასი, იზრდება უმუშევრობა და კატასტროფულად ეცემა მშრომელთა მასების ცხოვრების დონე, — ჩვენს ქვეყანას მხოლოდ ორ წელიწადზე ცოტა მეტი ხანი დასჭირდა იმისათვის, რომ, უმკაცრესი ომით მიყენებული ღრმა ჭრილობებისა და ნგრევის მიუხედავად, მიეღწია მრეწველობის პროდუქციის გამოშვების ომამდელი მაღალი განვითარების დონისათვის!

ეს ისტორიული გამარჯვება მიღწეულ იქნა იმიტომ, რომ ჩვენს ქვეყანას, ჩვენს ხალხს, ჩვენს ბოლშევიკურ პარტიას წინამძღოლობს კომუნიზმის ნაცადი მესაჭე, ხალხის საყვარელი ბელადი და მხედართმთავარი დიდი სტალინი. (მქუხარე ტაში).

სახელოვან ლენინგრადელთა მოწოდებით მთელ ჩვენს ქვეყანაში გაიშალა საერთო-სახალხო მოძრაობა მეოთხე სტალინური ხუთწლიანი გეგმის ოთხ წელიწადში შესრულებისათვის.

სახალხო-სამეურნეო გეგმების წარმატებით შესრულებას მოჰყვა უდიდესი მნიშვნელობის მოვლენა ჩვენს ქვეყანაში — მომარაგების საბარათო სისტემის გაუქმება და ფულის რეფორმა. საბჭოთა კავშირმა ომის შემდეგ სულ მოკლე ხანში შესძლო განეხორციელებინა გაშლილი ვაჭრობა უბარათებოდ, ერთიანი ფასებით და უზრუნველეყო საბჭოთა ფულის განმტკიცება, მაშინ როცა კაპიტალისტურ ქვეყნებში პირიქით ხდება — ფულის კურსი ეცემა, ფასები ზღაპრულად იზრდება, დამატებით წესდება საბარათო მომარაგება. ეს ერთხელ კიდევ ნათლად უჩვენებს მსოფლიოს საბჭოთა წყობილების ცხოველმყოფელობას და უძლეველ ძალას, სოციალისტური ეკონომიკის შეუდარებელ უპირატესობას კაპიტალისტური ეკონომიკის წინაშე.

საქართველოს მშრომელნი, რომელნიც დიდი სტალინის სახელოვანმა თანამებრძოლმა ლავრენტი პავლეს-ძე ბერიამ აღზარდა საბჭოთა ხელისუფლებისა და კომუნისტური პარტიისადმი უსაზღვრო სიყვარულისა და ერთგულების სულისკვეთებით, მთელი საბჭოთა ხალხის მოწინავე რიგებში იბრძვიან დიდი სტალინის მიერ დასახული კომუნიზმის მშენებლობის ამოცანების წარმატებით შესრულებისათვის.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტურმა რესპუბლიკამ მრეწველობის საერთო პროდუქციის გამოშვების მეოთხე სტალინური ხუთწლედის პირველი ორი წლის გეგმა 106,7 პროცენტით შეასრულა. განსაკუთრებული გამარჯვებებით ხასიათდება 1947 წლის შედეგები. მრეწველობამ საერთო პროდუქციის გამომუშავების გეგმა გასულ წელს 110%-ით შეასრულა, 1946 წელთან შედარებით მოგვცა 29,1%-ით მეტი პროდუქცია, ხოლო ომამდელ დონეს 8,6%-ით გადააჭარბა. გაიზარდა მოსახლეობისათვის ფართო მოხმარების საქონლის გამოშვება, გაფართოვდა საქონელბრუნვა.

დიდი გამარჯვება მოიპოვა რესპუბლიკამ სოფლის მეურნეობის დარგში. სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა მნიშვნელოვნად უფრო მაღალი იყო, ვიდრე წინა წელს. წარმატებით შესრულდა სახელმწიფოსათვის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ჩაბარების გეგმები. სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოსავლიანობის გადიდებაში განსაკუთრებული მიღწევებისათვის სსრ კავშირის მთავრობამ სოციალისტური შრომის გმირის საპატიო წოდება მიანიჭა ჩვენი საკოლმეურნეო სოფლის 250 ყველაზე მოწინავე ადამიანს და ორდენებითა და მედლებით დააჯილდოვა 1.222 კაცი.

ძნელია გადაჭარბებით შეაფასო საქართველოს სოფლის მეურნეობაში მიღწეულ გამარჯვებათა მნიშვნელობა.

რესპუბლიკის ეს უდიდესი მიღწევები შედეგია იმ მუდმივი მზრუნველობისა და დახმარებისა, რომელსაც გვიწევს ჩვენი საყვარელი ბელადი, მამა და მასწავლებელი იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი! (ტაში).

ჩვენი მიღწევები იმ ადამიანთა დაუღალავი შრომითა და ღვაწლით არის მოპოვებული, რომელნიც კომუნიზმის საქმისადმი, ბოლშევიკური პარტიისა და სტალინისადმი უსაზღვრო სიყვარულის და ერთგულების სულისკვეთებით აღზარდა ქართველი ხალხის სახელოვანმა შვილმა ლავრენტი პავლეს-ძე ბერიამ. (ტაში).

ეს მიღწევები ქართველმა ხალხმა მოიპოვა იმიტომ, რომ იგი სტალინური გზით კომუნიზმისაკენ მიჰყავს საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალურ კომიტეტს. (ტაში).

ქართველი ხალხი საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ხელმძღვანელობით, მომავალშიც მოწინავე რიგებში იქნება კომუნიზმის საქმისათვის ბრძოლაში, მტკიცედ შეასრულებს დიდი სტალინის მიერ დასახულ ყველა ამოცანას, მიაღწევს სახალხო მეურნეობის ახალ მძლავრ აღმავლობას, უფრო მაღალ საფეხურზე აიყვანს მეცნიერებასა და კულტურას და გასწევს წინ ახალი გამარჯვებებისაკენ!

1948 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი ხელს შეუწყობს ამ ამოცანების წარმატებით განხორციელებას.

ამხანაგო დეპუტატებო! საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს უმაღლესი საბჭოს მესამე სესიის განსახილველად და დასამტკიცებლად შემოაქვს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 1948 წლის ბიუჯეტის პროექტი, რომელიც შედგენილია საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის წინაშე 1948 წელს დასახული დიადი ამოცანებისა და გეგმების სრული შესაბამისობით.

ბიუჯეტის პროექტი ემყარება იმ დიდ მიღწევებს, რაც რესპუბლიკის სახალხო მეურნეობამ გასულ წელს მოიპოვა. გეგმების გადაჭარბებასთან ერთად, ეს მიღწევები იმაში მდგომარეობს, რომ საგრძნობლად გაუმჯობესდა საწარმოთა და ორგანიზაციების სამეურნეო-საფინანსო საქმიანობა, რამაც ხელი შეუწყო სოციალისტური დაგროვების ზრდას და ბიუჯეტის წარმატებით შესრულებას.

ვიდრე 1948 წლის ბიუჯეტის პროექტის დახასიათებაზე გადავიდოდე, ნება მიბოძეთ ორიოდე სიტყვით მოგახსენოთ ზოგიერთი წინასწარი ცნობები გასული წლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

წინასწარი მონაცემებით საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 1947 წლის ბიუჯეტი შესრულებულია შემოსავლის ნაწილში 2.246.752 ათასი მანეთის ოდენობით, ანუ 102,1%-ით, ხოლო გასავლის ნაწილში 2.190.495 ათასი მანეთის მოცულობით, ანუ 99,5 %-ით.

შემოსავალმა გადააჭარბა გასავალს 56.257 ათასი მანეთით.

ცალკე წყაროებიდან შემოსავლის გეგმები შესრულებულია შემდეგნაირად:

მოგების ანარიცხები ბიუჯეტში შემოვიდა 57.990 ათასი მანეთით მეტი, ვიდრე გათვალისწინებული იყო, ანუ გეგმის 131,2 %;

ანარიცხები მოსახლეობის გადასახადებისაგან—7.572 ათასი მანეთით მეტი, ანუ გეგმის 103,5 %;

საშემოსავლო გადასახადი ორგანიზაციებისა და საწარმოებისაგან — 16.699 ათასი მანეთით მეტი, ანუ გეგმის 126,3 %;

სახელმწიფო სესხების ანარიცხები—28.176 ათასი მანეთით მეტი, ანუ გეგმის 111,7 %.

ბიუჯეტის აუთვისებელი სახსრებიდან ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებებზე მოდის—17.800 ათასი მანეთი, ანუ გეგმის 4,5 % და განათლების ღონისძიებებზე—11.729 ათასი მანეთი, ანუ 1,2 %, რაც სათანადო სამინისტროებისა და ორგანიზაციების მიერ გეგმით გათვალისწინებულ ღონისძიებათა გაუტარებლობით უნდა აიხსნას.

საქართველოს სსრ 1948 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მესამე სესიის განსახილველად და დასამტკიცებლად წარმოდგენილი საქართველოს სსრ 1948 წლის ბიუჯეტი განსაზღვრულია შემოსავლის ნაწილში 2.338.460 ათასი მანეთით და გასავლის ნაწილში—2.336.582 ათასი მანეთით.

შემოსავალი აჭარბებს გასავალს 1.878 ათასი მანეთით.

1947 წლისათვის დამტკიცებულ ბიუჯეტთან შედარებით 1948 წლის ბიუჯეტის შემოსავალი იზრდება 178.365 ათასი მანეთით, ანუ 8,3 %-ით, ხოლო გასავალი—176.487 ათასი მანეთით, ანუ 8,2 %-ით.

სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავალი

ბიუჯეტის საშემოსავლო წყაროებში გასულ წელთან შედარებით ზოგიერთი ცვლილებები მოხდა. მიმდინარე წელს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიამ პირველად დააწესა უცოლო და უქმრო, მარტოხელა და მცირეოჯახიან მოქალაქეთა გადასახადის 50 %-ის ჩარიცხვა საქართველოს სსრ ბიუჯეტში, რაც 59.300 ათას მანეთს შეადგენს.

გარდა ამისა, წინა წლებისაგან განსხვავებით, წელს პირველად გადაეცა რესპუბლიკის ბიუჯეტს კოოპერაციული ორგანიზაციების საპატენტო გამოსაღების მთელი შემოსავალი, რაც 4.800 ათასი მანეთის რაოდენობით არის დაგეგმილი.

უმაღლეს და საშუალო სასწავლებლებში სწავლის გადასახდელი რესპუბლიკის ბიუჯეტში აქამდე შემოდიოდა მხოლოდ რესპუბლიკური დაქვემდებარების სასწავლებლებიდან. მიმდინარე წელს კი რესპუბლიკის ბიუჯეტით დაგეგმილია სწავლის გადასახდელიდან შემოსავალი რესპუბლიკის ტერიტორიაზე მყოფი ყველა უმაღლესი და საშუალო სასწავლებლებიდან, მიუხედავად დაქვემდებარებისა. ამასთან დაკავშირებით, სწავლის გადასახდელის შემოსავალი 1948 წლის ბიუჯეტში გასული წლის ბიუჯეტის გეგმასთან შედარებით გაიზარდა 6.713 ათასი მანეთით.

ბიუჯეტის შემოსავალში მიმდინარე წელს გათვალისწინებულია გასულ წელს გამოუყენებელი სახსრები 54.519 ათასი მანეთის რაოდენობით, ნაცვლად 13.989 ათასი მანეთისა 1947 წლის ბიუჯეტში.

ამრიგად, რესპუბლიკის ბიუჯეტში ხსენებული ახალი წყაროებიდან შემოსავალი შეადგენს 111.343 ათას მანეთს, რამაც მოგების ანარიცხების ზრდასთან ერთად გავლენა მოახდინა ბრუნვის გადასახადის ანარიცხების ოდენობაზე, რაც მიმდინარე წლის ბიუჯეტში გათვალისწინებულია 19,5%, ნაცვლად 21,3 %-სა გასულ წელს.

ამხანაგო დეპუტატებო! ბრუნვის გადასახადი ჩვენი ბიუჯეტის ძირითად საშემოსავლო წყაროს წარმოადგენს. ამ გადასახადის საერთო მოცულობა საქართველოს სს რესპუბლიკაში 1948 წლისათვის განსაზღვრულია 5 მილიარდ 308 მილიონი მანეთის რაოდენობით, ნაცვლად 1947 წელს შემოსული 5 მილიარდ 4 მილიონი მანეთისა, ე. ი. 304 მილიონი მანეთით მეტი. როგორც მოგახსენეთ დასახელებული თანხის 19,5 % ჩაირიცხება ჩვენი რესპუბლიკის ბიუჯეტში.

ბრუნვის გადასახადის გეგმის წარმატებით შესასრულებლად საჭიროა თვითეულმა ფაბრიკამ, ქარხანამ და სამეურნეო ორგანიზაციამ შეასრულოს სასაქონლო პროდუქციის გამოშვებისა და რეალიზაციის გეგმა, ხოლო სავაჭრო ორგანიზაციებმა — საქონელბრუნვის გეგმები.

სამინისტროების მიერ სასაქონლო პროდუქციის გამოშვების და რეალიზაციის გეგმების შესრულების მიუხედავად, მათ სისტემაში არიან ისეთი საწარმოები და სამეურნეო ორგანიზაციები, რომელნიც ამ გეგმებს არ ასრულებენ.

საგემოვნო მრეწველობის 97 საწარმოდან სასაქონლო პროდუქციის გამოშვების გეგმა ვერ შეასრულა 13 საწარმომ 102.460 ათასი მანეთის მოცულობით, ხოლო რეალიზაციის გეგმა—15 საწარმომ 82.404 ათასი მანეთის მოცულობით.

ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს საწარმოებიდან სასაქონლო პროდუქციის გამოშვების გეგმა ვერ შეასრულა 10 საწარმომ 9.906 ათასი მანეთის მოცულობით და რეალიზაციის გეგმა—11 საწარმომ 11.466 ათასი მანეთის მოცულობით.

ახლა, როცა საბარათო სისტემა გაუქმებულია და გაშლილ საბჭოთა ვაჭრობაზე გადავედით, მოსახლეობა გაზრდილ მოთხოვნილებას აყენებს საქონლის ხარისხსა და ასორტიმენტზე. ამიტომ პროდუქციის ასორტიმენტისა და ხარისხის საკითხი განსაკუთრებული სიმწვავით დგას ამჟამად. სამწუხაროდ, ცოტა როდია საწარმოთა ისეთი ხელმძღვანელები, რომელთაც ვერ გაიგეს საქონელბრუნვის შეცვლილი ვითარება და განაგრძობენ ძველებურად მუშაობას, არ ასრულებენ ფართო მოხმარების პროდუქციის გამოშვების გეგმას ასორტიმენტის მხრივ და უვარგისი ხარისხის პროდუქციას უშვებენ.

საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს ფეხსაცმლის მეორე ფაბრიკამ 1947 წელს გეგმაზე 7.3 %-ით ნაკლები სასაქონლო პროდუქცია გამოუშვა და დაარღვია ასორტიმენტის გეგმა. ფაბრიკამ ქალის მცირე ზომის ქრომის ფეხსაცმელი გამოუშვა გეგმის 3,3 %, ხოლო ზომანაკლი უყელო წაღები—გეგმის 0.8 %. სამაგიეროდ მცირეწლოვან ბავშვთა ტყავის ფეხსაცმელი გამოუშვა გეგმის 75,2 %, ხოლო ზომანაკლი ტყავის ტუფლი—გეგმის 21,1 %. ამასთან ერთად ფაბრიკა უშვებდა მდარე ხარისხის პროდუქციას. პირველი ხარისხის ფეხსაცმელი გამოუშვა გეგმაზე 66.800 წყვილით ნაკლები, ხოლო უფრო დაბალი ხარისხის ფეხსაცმლის გამოშვების გეგმას გადააჭარბა—მეორე ხარისხისას—51.000 წყვილით და მესამე ხარისხისას—15.800 წყვილით.

ასევე დაარღვია ასორტიმენტის გეგმა იმავე სამინისტროს ბათუმის სამკერვალო ფაბრიკამ.

ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს ცელულოიდის ქარხნის პროდუქციის მნიშვნელოვანი ნაწილის რეალიზაცია არ ხდება მისი ცუდი ხარისხის გამო. 1947 წლის ბოლოს ზარალში ჩამოწერილია უვარგისობის გამო 562 ათასი მანეთის პროდუქცია გასაცემ ფასებში, მათ შორის 309 ათასი ცალი სავარცხელი. ეს ქარხანა წელსაც განაგრძობს დაბალი ხარისხის პროდუქციის გამოშვებას. 1 იანვრიდან 15 მარტამდე გამოშვებული 255 ათასი მანეთის სავარცხლის 69 % მეორე და მესამე ხარისხისაა, რის გამო სავაჭრო ორგანიზაციებს არ მიაქვთ იგი. 15 მარტამდე გასაღებული იყო მხოლოდ 23 %.

იმავე სამინისტროს კალინინის სახელობის ქარხანამ ვერ გამოუშვა საწოლები 3.602 ცალი, ანუ გეგმის 24 %, ლურსმანი 604,3 ტონა, ანუ გეგმის 50,3 % და ფართო მოხმარების სხვა საქონელი. ამასთანავე გამოშვებული საწოლები მდარე ხარისხისაა. სადეზინფექციო კამერები, ქარხანამ ნაცვლად 100 ცალისა, გამოუშვა 262 ცალი. ამ პროდუქციის ასეთი დიდი რაოდენობით გამოშვება იმით აიხსნება, რომ თვითეულ სადეზინფექციო კამერაზე ქარხანა იღებდა 3.608 მანეთ მოგებას. ამ არაჩვეულებრივად დიდ მოგებას ქარხანა ფაქტიურად სახელმწიფო ბიუჯეტიდან იღებდა, რადგან სადეზინფექციო კამერების შემკვეთი იყო ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო.

მსგავსი მოვლენებით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ ხსენებულმა ქარხანამ, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 279 ათასი მანეთისა, მიიღო მოგება 1.544 ათასი მანეთი, ანუ გეგმაზე თითქმის 6-ჯერ მეტი, მათ შორის სადეზინფექციო კამერებიდან 931 ათასი მანეთი. როგორც ვხედავთ ეს მოგება კარგი მუშაობის შედეგი როდია.

საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრომ კი ასორტიმენტის გეგმის შეუსრულებლობის მიუხედავად უკანონოდ დაუმტკიცა ამ ქარხანას სადირექტორო ფონდი 170 ათასი მანეთის რაოდენობით.

საასორტიმენტო გეგმის შეუსრულებლობის მსგავს შემთხვევას ადგილი ჰქონდა ამავე სამინისტროს ბათუმის მომთუთიებელ ქარხანაშიც.

პროდუქციის საასორტიმენტო გეგმების დარღვევა განსაკუთრებით შეუწყნარებელია ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს საწარმოებში, რომელთაც ამ გეგმებს სამინისტრო უმტკიცებთ გამოსაშვები პროდუქციის მხოლოდ მცირე ნაწილზე, და ამიტომ მათ სრული საშუალება აქვთ წლის განმავლობაში გამოუშვან ისეთი პროდუქცია, რომელსაც ხელსაყრელად მიიჩნევენ.

ამ საკითხით ალბათ დაინტერესდება სახელმწიფო საგეგმო კომისია.

საქონელბრუნვის გეგმის შესრულებისა და მომხმარებელთა გაზრდილი მოთხოვნილების დაკმაყოფილებისათვის აუცილებელია სათანადოდ გადახალისდეს სავაჭრო ორგანიზაციების მუშაობა და გამოყენებულ იქნას საბჭოთა ვაჭრობის ფართოდ გაშლის ყველა შესაძლებლობა, ისე, როგორც ამას გვასწავლის ჩვენი საყვარელი ბელადი ამხანაგი სტალინი, რომელმაც საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) XVII ყრილობაზე ამ საკითხზე ითქვა შემდეგი:

„საჭიროა, რომ ჩვენი ქვეყანა დაფარული იყოს სავაჭრო ბაზების, მაღაზიების, ფარდულების უხვი ქსელით. საჭიროა, რომ ამ ბაზების, მაღაზიების, ფარდულების არხებით შეუჩერებლივ სწარმოებდეს საქონლის ცირკულაცია წარმოების ადგილებიდან მომხმარებლამდე. საჭიროა, რომ ამ საქმეში ჩაბმული იყოს სახელმწიფო სავაჭრო ქსელიც, კოოპერაციული სავაჭრო ქსელიც, ადგილობრივი მრეწველობაც, კოლმეურნეობებიც, ერთპიროვნული გლეხებიც. სწორედ ამას ეწოდება ჩვენში გაშლილი საბჭოთა ვაჭრობა...“

ვაჭრობის ზოგიერთი მუშაკი ჯერ კიდევ ვერ განთავისუფლებულა საბარათო სისტემის დროინდელი განწყობილებისაგან, კვლავ უყურადღებოდ ეპყრობა მომხმარებელთა მოთხოვნილებას და ძველი, „განაწილების დროინდელი“ მეთოდებით მუშაობს.

თელავის რაიონის რუისპირისა და ქვემო ხოდაშნის სასოფლო მაღაზიებს მიმდინარე წლის იანვარში მარილი და ნავთი არ ჰქონდათ, მაშინ როდესაც რაიკოოპკავშირის საწყობებში მარილიც და ნავთიც დიდი რაოდენობით იყო.

მსგავს მოვლენას ჰქონდა ადგილი მიმდინარე წელს „საქვაჭრობის“ ქუთაისის განყოფილებაში, რომლის ქსელშიც ტანსაცმელი აკლდათ, საწყობებში კი დიდძალი ტანსაცმელი ელაგა.

„აჭარვაჭრობამ“ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს გასაღების ბაზიდან თავის ქსელში შეზიდა ნახევარ მილიონ მანეთზე მეტი ღირებულების ბეწვის საყელოიანი საზამთრო პალტოები. ამავე დროს კი ხსენებულმა ბაზამ ქალაქ სვერდლოვსკში გაგზავნა საშემოდგომო პალტოები. უკეთესი იქნებოდა პირიქით მომხდარიყო.

„აჭარვაჭრობის“ მიერ გამოსყიდული 7 ტონა საჭმელი ზეთი და 1 ტონა ჩაი თვენახევარზე მეტ ხანს თბილისის საწყობებში ელაგა, მაშინ როდესაც ადგილებზე ამ საქონლის დიდი მოთხოვნილება იყო.

მსგავს მოვლენებს სხვა ქალაქებსა და რაიონებშიც ვხვდებით.

საქონელბრუნვის გაშლას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ბიუჯეტის შემოსავლის უზრუნველყოფისა და საბჭოთა მანეთის კურსის სიმტკიცის შენარჩუნებისათვის.

ამ საბრძოლო ამოცანის შესრულება ვაჭრობისა და მრეწველობის მუშაკთა ღირსების საქმეა.

არის შემთხვევები, რომ სამეურნეო ორგანიზაციების ხელმძღვანელები თავის დროზე არ უდგენენ საფინანსო ორგანოებს საგადასახადო ანგარიშებს, აგვიანებენ კუთვნილი თანხების გადარიცხვას და უკანონოდ იტოვებენ ამ თანხებს თავის მეურნეობაში.

ზოგიერთი ადგილობრივი საფინანსო ორგანოებიც შემარიგებლობას იჩენენ ასეთი მოვლენების მიმართ და სათანადო ზომების მიღების ნაცვლად დაგვიანებით ამოწმებენ წარმოდგენილ ანგარიშებსაც კი.

აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში (ფინანსთა მინისტრი ამხ. მათითაშვილი) 202 წლიური საგადასახადო ანგარიშიდან საფინანსო ორგანოებში დაგვიანებით იქნა წარდგენილი 103 ანგარიში, ანუ 50 %, ხოლო თვით საფინანსო ორგანოებმა დაგვიანებით განიხილეს 81 ანგარიში, ანუ 40 %, რომელთა მიხედვით საწარმოებსა და ორგანიზაციებს დამატებით დაერიცხათ 735 ათასი მანეთი. 917 თვიური საგადასახადო ანგარიშიდან, რომელთა 21 % დაგვიანებით იქნა წარდგენილი, საფინანსო ორგანოებმა დაგვიანებით განიხილეს 506 ანგარიში, ანუ 55 %, რომელთა მიხედვით სამეურნეო ორგანიზაციებს და საწარმოებს დამატებით დაერიცხათ 8.568 ათასი მანეთი.

ასეთივე მდგომარეობაა სიღნაღის, ახალციხის და ლანჩხუთის რაიონებში.

ზოგიერთი საწარმოსა და სამეურნეო ორგანიზაციის ხელმძღვანელები საფინანსო ორგანოებისათვის წარდგენილ საგადასახადო ანგარიშებში შემცირებულად უჩვენებენ დასაბეგრ ბრუნვას და ამ გზით აკლებენ ბიუჯეტს ბრუნვის გადასახადში კუთვნილ თანხებს.

1947 წლის დეკემბერში საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს მიერ ქალაქ თბილისში 29 საწარმოსა და სამეურნეო ორგანიზაციის საგადასახადო ანგარიშების შემოწმების შედეგად მათ დამატებით დაერიცხათ ბრუნვის გადასახადი 3.115 ათასი მანეთის რაოდენობით.

„გლავგასტრონომის“ საკონდიტრო წარმოებას, რომლის დირექტორია ამხ. გურული, წარმოდგენილი არ ჰქონდა საგადასახადო ანგარიში გასული წლის 1 იანვრიდან 12 ივლისამდე და გაანგარიშების შედეგად დამატებით დაერიცხა გადასახდელად ბრუნვის გადასახადი 620,6 ათასი მანეთი.

ცეკავშირის კვების კომბინატი, რომლის დირექტორია ამხ. ნანუკაშვილი, შემოწმების მომენტამდე არ იყო აღრიცხული რაიფინგანში, როგორც გადამხდელი ორგანიზაცია. ამ ორგანიზაციის დაერიცხა ბიუჯეტში გადასახდელად ფასთა სხვაობა 728 ათასი მანეთი.

საფინანსო ორგანოების ხელმძღვანელებმა უმოკლეს დროში უნდა გამოასწორონ ეს ნაკლოვანებანი, გააძლიერონ კონტროლი სამეურნეო ორგანიზაციების მიერ საანგარიშო და საგადასახდელო დისციპლინის დაცვისადმი, მიაღწიონ ბრუნვის გადასახადის ხაზით ნარჩენების სრულ ლიკვიდაციას და უზრუნველჰყონ ამ შემოსავლის დაწესებული გეგმის აუცილებლივ შესრულება.

მეორე მხრივ, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, საოლქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებმა დახმარება უნდა გაუწიონ საფინანსო ორგანოებს ამ საქმეში.

სახელმწიფო საწარმოთა მოგების ანარიცხებს საკმაოდ დიდი ხვედრითი წონა აქვს ბიუჯეტის შემოსავალში. 1947 წლის მოგების ანარიცხების გეგმის გადაჭარბება იმის შედეგია, რომ ბევრმა საწარმომ და ორგანიზაციამ გეგმების რაოდენობრივად შესრულებასთან ერთად გააუმჯობესა სამეურნეო-საფინანსო საქმიანობა, რის შედეგადაც მნიშვნელოვნად განმტკიცდა მათი საფინანსო მდგომარეობა.

საფეიქრო მრეწველობის სამინისტროს მახარაძის ძაფსაღებმა ფაბრიკამ, რომლის დირექტორია ამხ. ვასაძე, სასაქონლო პროდუქციის გამოშვების გეგმა შეასრულა 116.6 %-ით, ხოლო რეალიზაციისა — 114 %-ით; შრომის ნაყოფიერების გეგმას 12,1 %-ით გადააჭარბა; პროდუქციის თვითღირებულებაზე 2.483 ათასი მანეთის ეკონომია გასწია, სახელმწიფოს დაუზოგა 10,3 ტონა აბრეშუმის პარკი და გეგმის გადამეტებით 2.051 ათასი მანეთი მოგება მიიღო.

საგემოვნო მრეწველობის სამინისტროს ბათუმის ჩაის ფაბრიკამ, სადაც დირექტორად მუშაობს ამხ. ბუაძე, ჩაის მწვანე ფოთლის დამზადების გეგმა 117 %ით შეასრულა, პროდუქციის გამოშვების გეგმას გადააჭარბა 20,8 %-ით, თვითღირებულება შეამცირა 577 ათასი მანეთით და გეგმის გადამეტებით 605 ათასი მანეთი მოგება მიიღო.

მთელმა რიგმა სამინისტროებმა მნიშვნელოვნად გადააჭარბეს ბიუჯეტში მოგების ანარიცხების შეტანის გეგმას. კინემატოგრაფიის სამინისტრომ კი ბიუჯეტს 1.021 ათასი მანეთით ნაკლები მოგების ანარიცხები მისცა.

ბიუჯეტის პროექტი ითვალისწინებს მოგების ანარიცხების შემოსავალს 323.720 ათასი მანეთის ოდენობით, ანუ გასული წლის ფაქტიურ შესრულებასთან შედარებით 79.806 ათასი მანეთით მეტს.

ბიუჯეტში მოგების ანარიცხების ასეთი გაზრდილი გეგმის შესასრულებლად საჭიროა თვითეულმა საწარმომ და სამეურნეო ორგანიზაციამ შეასრულოს პროდუქციის გამოშვებისა და რეალიზაციის გეგმა, შეამციროს ხარჯები, გააიაფოს პროდუქცია და აუცილებლივ უზრუნველჰყოს დაგროვების გეგმების შესრულება.

მოწინავეებთან ერთად არიან ისეთი საწარმოები და ორგანიზაციები, რომელნიც ცუდად მუშაობენ, არ ასრულებენ დაგროვების გეგმებს და ვალდებულებებს ბიუჯეტის წინაშე.

საქართველოს სსრ საგემოვნო მრეწველობის თამბაქოს პირველმა ფაბრიკამ 1947 წელს გეგმაზე 96 მილიონი ცალით ნაკლები პაპიროსი გამოუშვა, მაშინ, როდესაც ფაბრიკა უზრუნველყოფილი იყო ნედლეულითა და მასალებით. დაგროვების გეგმის შესრულებას ფაბრიკამ 1.466 ათასი მანეთი დააკლო. ამ საწარმოს სამეურნეო საქმიანობის ასეთი არადამაკმაყოფილებელი შედეგები აიხსნება შემდეგი მიზეზებით: მანქანა-დანადგართა რემონტის გეგმა შესრულდა მხოლოდ ერთი მესამედით, მათი ძალოვნობა კი გამოყენებული იყო 68-80 %-ით. ერთი მუშის საშუალო წლიური გამომუშავება გეგმაზე 2,5 %-ით დაბალი იყო. მნიშვნელოვანი რაოდენობით გადახარჯეს ქაღალდის და თამბაქოს ნედლეული.

ამ ფაბრიკაში ათასი ცალი პაპიროსის „ტემპის“ თვითღირებულებამ შეადგინა 2 მანეთით და 21 კაპიკით მეტი, ვიდრე მეზობლად მყოფ თამბაქოს მეორე ფაბრიკაში; ათასი ცალი პაპიროსის „საბჭოთას“ თვითღირებულება თამბაქოს პირველ ფაბრიკაში შეადგენს 1 მანეთითა და 16 კაპიკით მეტს, ვიდრე თამბაქოს მეორე ფაბრიკაში.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თამბაქოს მეორე ფაბრიკას გაცილებით უკეთესი მაჩვენებლები ექნებოდა, რომ მიღწეული ყოფილიყო მანქანა-დანადგართა მთელი ძალოვნობის გამოყენება და იგი 79-87 პროცენტის ფარგლებში არ დარჩენილიყო.

კვების მრეწველობის სამინისტროს პირველმა საკონდიტრო ფაბრიკამ საერთო პროდუქციის გამოშვების წლიური გეგმა მხოლოდ 84,6 %-ით შეასრულა, ხოლო სასაქონლო პროდუქციის გამოშვების გეგმა 81,4 %ით, ანუ 8.463 ათასი მანეთით ნაკლები. სახელმწიფოს ფაბრიკამ 153 ტონა პროდუქცია დააკლო. კარამელის საამქროში ნარჩენმა (ფხვნილმა) 165 ტონას მიაღწია და დაწესებულ ნორმებს 114 ტონით, ანუ ერთისამად და უფრო მეტად გადააჭარბა. ერთი მუშის საშუალო წლიური გამომუშავების გეგმა შესრულებულ იქნა მხოლოდ 78,3 %-ით. 1946 წელთან შედარებით შრომის ნაყოფიერებამ 4,6 %-ით დაიკლო, ხოლო ნედლეულისა და მასალების დანაკარგებმა დაწესებულ ნორმებს 35 ტონით გადააჭარბა. დაშვებული იყო გადახარჯვები და გეგმის გარეშე ზარალი. საბოლოო ანგარიშით ამ ფაბრიკამ გეგმით გათვალისწინებული 76 ათასი მანეთი მოგების ნაცვლად 390 ათასი მანეთი ზარალით დაამთავრა სამეურნეო წელი.

(გაგრძელება მე-4 გვერდზე)

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მესამე სესია

საქართველოს სსრ 1948 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ

საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრის დეკუზაკ რ. ა. კვირკველიას მოხსენება

(გაგრძელება)

სამინისტროებისა და საწარმოების ხელმძღვანელებმა დაეყოვნებელივ უნდა გამოსაწორონ ფინანსური ნაკლოვანებანი, გააიაფონ პროდუქცია, გააუმჯობესონ მისი ხარისხი და გადადონ ფაგრთვები.

ᲑᲘᲣᲯᲔᲗᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲡᲐᲕᲐᲚᲘ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲘᲡᲐᲒᲐᲜ

ბიუჯეტის პროექტი ითვალისწინებს მოსახლეობისაგან გადასახადთა და გამოსყიდვთა ანარიცხების შემოსავალს 300.840 ათასი მანეთის ოდენობით. გადასახადთა განაკვეთები როგორც სოფელად, ისე ქალაქად უცვლელი რჩება.

ბიუჯეტის ეს შემოსავალი ეზება მშრომელთა ფართო მასებს, ამიტომ საჭიროა მისი განხორციელება არსებული კანონების ზუსტად დაცვით.

ფინანსთა სამინისტრო სისტემატიურად ატარებდა ღონისძიებებს ამ მუშაობის გასაუმჯობესებლად.

მიუხედავად ამისა, რიგ სფინანსო ორგანოების მუშაობაში ჯერ კიდევ ვხვდებით სერიოზულ ნაკლოვანებებს.

შემოწმებით გამოირკვა, რომ მოსახლეობისაგან გადასახადთა და გამოსაყიდთა გატარების მხრივ რიგ რაიონებში დაშვებული იყო არსებულ საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევა და დამახინჯება. ასეთი ფაქტები, იყო სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში, ქარელის, ყაზბეგის, ბორნეულის, დუშეთის, სამტრედიისა და ზუგდიდის სხვა რაიონებში.

გადასახადთა და გამოსაყიდთა ნარჩენები გასული წლის დასაწყისთან შედარებით საგრძნობლად შემცირდა, ანგრამ ა. წ. 1 მარტისათვის რესპუბლიკაში მაინც მნიშვნელოვან თანხას შეადგენდა. განსაკუთრებით დიდი ნარჩენები ირიცხება სამხრეთ ოსეთში — 1.139 ათასი მანეთი, გორის რაიონში—1.503 ათასი მანეთი, ქალაქ ბაკოურაში—552 ათასი მანეთი, ზუსტაფონის რაიონში—543 ათასი მანეთი, მაიაკოვსკის რაიონში — 427 ათასი მანეთი და სხვ. საფინანსო ორგანოების ხელმძღვანელებმა გადამჭრელი ზომების მიღებით უმოკლეს ვადაში უნდა მიაღწიონ გადასახადთა და გამოსაღებთა ნარჩენების ლიკვიდაციის, აღმოფხვრიან ნაკლოვანებანი საგადასახადო მუშაობაში, განამტკიცონ საგადასახადელო დისციპლინა და უზრუნველჰყონ თვითეული გადამხდელის მიერ სახელმწიფოს წინაშე ვალდებულებათა თავის დროზე შესრულება. ამავე დროს სანქციები და რაიონული სამეურნეო ორგანიზაციების ფინანსური ორგანოებისა ფინანსურ ორგანოებს.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ სახელმწიფო სესხები ჩვენს ქვეყანაში უდიდესი ავტორიტეტით სარგებლობს და წარმატებით ვრცელდება. სახელმწიფო სესხის ყოველ გამოშვებას ხალხი პოლიტიკური შეგნებითა და უდიდესი შრომითი ენთუზიაზმით ეგებება. სესხზე ხელმოწერა ხალხის ძმაკავ პოლიტიკურ ღონისძიებად იქცევა ხოლმე, რითაც ხალხი გამოხატავს თავის უსაზღვრო ნდობას და სიყვარულს ბოლშევიკური პარტიისადმი, საბჭოთა ხელისუფლებისადმი, თავისი საყვარელი ბელადის დიდი სტალინისადმი.

შარშან სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების მეორე სახელმწიფო სესხი რუბლეულად გიერ ცელდა 538.000 ათასი მანეთის ოდენობით, ნაცვლად ნავარაუდეკი 490.000 ათასი მანეთისა.

1948 წლის ბიუჯეტის პროექტი, როგორც მოგახსენეთ, ითვალისწინებს შემოსავლები სახელმწიფო სესხის ანარიცხებს 219.750 ათასი მანეთის ოდენობით, რაც 17.000 ათასი მანეთით ნაკლებია, ვიდრე გასული წლის ბიუჯეტით იყო გათვალისწინებული.

ეკუს გარეშეა, რომ ბიუჯეტის ამ შემოსავალის გეგმა შესრულებული იქნება.

შემნახველ სალაროებში საგრძნობლად გაიზარდა ანაბრები, რომელთა თანხამ 1 იანვრისათვის 269.906 ათას მანეთს მიაღწია. ფულის რეფორმაშ ყველას თვალსაჩინოდ დაანახვა დანაზოგების შენახვაზეე სალაროებში შენახვის უპირატესობა. მიმდინარე წელს კიდევ უფრო უნდა გაიზარდოს ანაბრები და გაუმჯობესდეს შენახვაზეი სალაროების მიერ მეანაბრეთა მომსახურება.

ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲑᲘᲣᲯᲔᲗᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲚᲘ

სესიისთვის დასამტკიცებლად წარმოდგენილი 1948 წლის ბიუჯეტის პროექტის საგანალი ნაწილი ცალკე

დარგების დასახელება	1948 წლის ბიუჯეტით	იყო 1947 წლ. ბიუჯეტით	განსხვავება + —
1. სახალხო მეურნეობა	556.052	468.143	+ 87.909
2. სოციალურ-კულტურული ღონისძიებანი	1.579.291	1.508.518	+ 70.773
მათ შორის:			
ჯანმრთელობის დაცვა	415.050	381.631	+ 33.419
განათლება	1.005.867	972.508	+ 33.359
ფიზიკურ კულტურა	12.136	10.322	+ 1.814
სოციალური უზრუნველყოფა	146.238	144.055	+ 2.183
3. სახელმწიფო მმართველობისა და სასამართლო ორგანოების შესანახი ხარჯები	156.502	160.540	— 4.038

ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲛᲔᲣᲠᲔᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲤᲘᲜᲐᲜᲡᲔᲑᲐ

ბიუჯეტის პროექტით სახალხო მეურნეობის დაფინანსებაზე გათვალისწინებული საერთო თანხიდან განსაკუთრული დაიხარჯოს: მრეწველობაზე — 169.760 ათასი მანეთი, სოფლის მეურნეობაზე — 167.872 ათასი მანეთი, კომუნალურ მეურნეობაზე — 112.122 ათასი მანეთი და ვაჭრობაზე— 12.247 ათასი მანეთი.

მრეწველობის დაფინანსება გასულ წელთან შედარებით იზრდება 61.997 ათასი მანეთით, ვაჭრობისა კი 2.314 ათასი მანეთით, რაც საკმარლმარეფვის ეგემის გადიდებით არის გამოწეული.

კომუნალური მეურნეობის დაფინანსება მიმდინარე წლის ბიუჯეტის პროექტში გათვალისწინებულია 112.122 ათასი მანეთის მოცულობით, მათ შორის ადგილობრივი ბიუჯეტით 100 მილიონ მანეთზე მეტი.

კომუნალური მეურნეობის ხაზით კაპიტალურ რემონტზე განსაზღვრულია დაიხარჯოს 47.750 ათასი მანეთი, ნაცვლად გასული წლის 30.380 ათასი მანეთისა.

ქალაქებისა და რაიონთა ცენტრების სოციალიკული ხარჯებსა და კეთილმოწყობაზე ბიუჯეტიდან დაიხარჯება 28.583 ათასი მანეთი, შარშანდელთან შედარებით 2.883 ათასი მანეთით მეტი.

ქალაქ თბილისის სამინო და კომუნალურ მეურნეობაზე მიმდინარე წელს დაიხარჯება 72.447 ათასი მანეთი, აქედან ბიუჯეტით დაფინანსება შეადგენს 55.762 ათას მანეთს.

შარშანდელთან შედარებით ქალაქ თბილისში ბიუჯეტის სახსრები კაპიტალურ რემონტზე იზრდება 6.723 ათასი მანეთით, ხოლო სოფლიკული კეთილმოწყობაზე — 1.700 ათასი მანეთით.

სოფლის მეურნეობის დაფინანსების მიმდინარე წლის ბიუჯეტის პროექტი ითვალისწინებს 167.872 ათასი მანეთის მოცულობით, ე. ი. 35.384 ათასი მანეთით მეტს, შარშანდელთან შედარებით.

მიმდინარე წელს სოფლის მეურნეობის სამინისტროს საბჭოთა მეურნეობებში გაშენდება ახალი პლანტაციები ჩაისა — 1.700 ჰექტარი, ლიმონისა — 568 ჰექტარი და ფორთოხლისა — 805 ჰექტარი, დაირგვება 427.200 ეკალიპტის ხე, აღდგენილი იქნება 101 ჰექტარი ჩაის პლანტაცია და ჩაის პლანტაციისთვის მოამზადდება 2.629 ჰექტარი ნაადგილი.

წყალთა მეურნეობის სამინისტროს ხაზით დაიხარჯება 15.600 ათასი მანეთი, რაც მოხმარდება ალაზნის სარწყავ სისტემას და აჯამეთის, დოეს-ბრაკალოს და სალოთესილის არხებს. ჩატარდება სამელიორაციო ღონისძიებანი ბაგრის რაიონში, „ახალი კოლხიდაში" მასივზე.

ამ თანხებში არ შედის 8.000 ათასი მანეთი, რასაც ზემო სამგორის სარწყავი სისტემის მშენებლობა საკავშირო ბიუჯეტიდან მიიღებს.

სატყეო მეურნეობაზე სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი ითვალისწინებს 33.560 ათასი მანეთის დახარჯვას, რაც 6.713 ათასი მანეთით აღემატება გასული წლის ფაქტიურ ხარჯებს.

აქედან ტყის გაშენების ღონისძიებებზე დაიხარჯება 10.120 ათასი მანეთი და სატყეო მეურნეობათა შენახვაზე — 16.250 ათასი მანეთი.

ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠ-ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲣᲚ ᲦᲝᲜᲘᲡᲫᲘᲔᲑᲐᲗᲐ ᲓᲐᲤᲘᲜᲐᲜᲡᲔᲑᲐ

სოციალურ-კულტურულ ღონისძიებებზე 1948 წლის ბიუჯეტის პროექტით, როგორც მოგახსენეთ გათვალისწინებულია 1.579.291 ათასი მანეთი, აქედან რესპუბლიკური ბიუჯეტით 556.427 ათასი მანეთი, ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტით 1.022.864 ათასი მანეთი.

სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა დაფინანსებაზე გათვალისწინებული ხარჯები მთელი ბიუჯეტის 67,6%-ს შეადგენს და 1947 წლის ფაქტიურად დახარჯულ თანხას 115.164 ათასი მანეთით აღემატება.

ამ ღონისძიებებზე ბიუჯეტის ასიგნებათა დიდი ზრდა ერთხელ კიდევ ნათლად აფასტურებს პარტიისა და ხელისუფლების, დიდი სტალინის განუწყვეტელ ზრუნვას ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებისა და კულტურის აშალეფლისათვის.

1948 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებები სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა ცალკე დარგების მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდება:

(ათასი მანეთობით)

ღონისძიებანი	1948 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხა	მატება 1947 წლის ფაქტიურ ხარჯებთან შედარებით
1. სახალხო განათლება	1.005.867	43.205
2. სახალხო ჯანმრთელობის დაცვა	415.050	51.271
3. ფიზიკური კულტურა	12.136	1.726
4. სოციალური უზრუნველყოფა	146.238	18.962
სულ	1.579.291	115.164

1948 წლის ბიუჯეტით გასულ წელთან შედარებით სამაგვარ ბალეზზე დაიხარჯება 4.619 ათასი მანეთით მეტი, სამაგვარ სახელეზზე 5.805 ათასი მანეთით მეტი, დაწყებით და საშუალო სკოლებზე 22.269 ათასი მანეთით მეტი.

ბიუჯეტი დაფინანსებს 16 უმაღლეს სასწავლებელს და 112 ტექნიკუმს, ოთმელთა შენახვაზე მიმდინარე წლის ბიუჯეტით დაიხარჯება 4.780 ათასი მანეთით მეტი, ვიდრე გასულ წელს.

მეცნიერების განვითარებაზე დაიხარჯება 98.156 ათასი მანეთი, ანუ 5.791 ათასი მანეთით მეტი, ვიდრე გასულ წელს.

ამ თანხებიდან ფინანსდება 42 სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი, 28 სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულება და 39 მუზეუმი.

მარტო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დაფინანსება გათვალისწინებულია 56.236 ათასი მანეთის ოდენობით, რაც 5.964 ათასი მანეთით აღემატება გასულ წელს დახარჯულ თანხას.

ბიუჯეტით უზრუნველყოფილი იქნება ავრეთვე 278 ბინალოთოვანი, 75 კულტურის სახლის, 660 საქალაქო, რაიონული და სასოფლო კლუბისა და 693 ეკონ-საკითხველის დაფინანსება.

ხელოვნებაზე ბიუჯეტის პროექტი თვალისწინებს 37.748 ათას მანეთს.

ფუნიკალური დაწესებულებებისათვის დაგეგმილია 10.540 ათასი მანეთი, რაც გასული წლის ბიუჯეტის ასიგნებებზე 4.003 ათასი მანეთით მეტია.

ცენტრალიზებულ ღონისძიებებზე ხელოვნების დარგში გათვალისწინებულია 7.296 ათასი მანეთი, ანუ 2.929 ათასი მანეთით მეტი, ვიდრე გასულ წელს.

თეატრების დაფინანსება ბიუჯეტით გასულ წელთან შედარებით შემცირებულია 18.653 ათასი მანეთით და გასაზღვრულია 19.903 ათასი მანეთით.

თეატრების დაფინანსების შემცირება გათვალისწინებულია ღონისძიების შემცირებით, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მინისტრთა საბჭოს მიმდინარე წლის 4 მარტის დადგენილების შესაბამისად.

თეატრებისათვის ღონისძიების შემცირება მოხდა იმ მიზნით, რომ ისინი უფრო მეტად დაინტერესდნენ დადგმების ხარისხით და მაყურებელთა დაინტერესებით. რადგანაც თეატრების შემოსავალი მთავარ წყაროს წარმოადგენდა არა ბილეთების გაყიდვით შემოსული სახსრები, არამედ სახელმწიფო ღონისძიება, რომელიც ფარავდა მათ ძირითად ხარჯებს, თეატრების ხელმძღვანელები არ ცდილობდნენ სპექტაკლების ხარისხის გაუმჯობესების გზით გაეზრდათ მაყურებელთა დასწრება. ამ გარემოების გამო თეატრებმა მაყურებელთა დასწრება მცირე იყო, არ სრულდებოდა ბილეთების გაყიდვით შემოსავლის გეგმები, რამაც გაუარესება მათი სამეურნეო-საფინანსო მდგომარეობა. თეატრების ხელმძღვანელები კი ნაცვლად დადგმათა ხარისხის გაუმჯობესებისა, ახალ-ახალი სპექტაკლების დადგმისა და მაყურებელთა მოზიდვისა, ბიუჯეტს მიმართავდნენ საფინანსო გარდვევის დასაფარავად. ამრიგად, დოტაციის პრაქტიკა უარყოფით გავლენას ახდენდა თეატრების რეგორც სამეურნეო-საფინანსო საქმიანობაზე, ისე მხატვრულ-შემოქმედებით მუშაობაზე.

შარშან რესპუბლიკურ ბიუჯეტზე მყოფმა თეატრებმა, საკუთარი შემოსავლის გეგმის შესრულების 466 ათასი მანეთი დააკლეს, ხოლო გარდვევა ადგილობრივ ბიუჯეტზე მყოფი თეატრების საკუთარ შემოსავალში წინასწარ ცნობებით 3.400 ათას მანეთზე მეტს შეადგენს. მიმდინარე წლის ორ თვეში საკუთარი შემოსავლის შესრულებაში რესპუბლიკურ თეატრებს გარღვევა ჰქონდათ 973 ათასი მანეთის ოდენობით.

დოტაცია დაეტოვათ, როგორც გამონაკლისი, 1948 წლის ბოლამდე ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერის და ბალეტის თეატრს, რუსთაველის დრამატიულ თეატრს, კ. მარჯანიშვილის სახელობის დრამატიულ თეატრს და ადგილობრივ ბიუჯეტზე მყოფ 6 თეატრს: ქუთაისის, ბათუმის, სოხუმის, გორის, სტალინირის და თელავისას, სულ 3.500 ათასი მანეთის ფარგლებში.

მთავრობის ამ ღონისძიებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს თეატრალური ხელოვნების განვითარებისათვის.

ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებათა დასაფინანსებლად ბიუჯეტის პროექტში გათვალისწინებულია 415.050 ათასი მანეთი, აქედან რესპუბლიკური ბიუჯეტით — 71.216 ათასი მანეთი, ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტებით — 343.834 ათასი მანეთი.

ჯანმრთელობის დაცვის ხარჯები 1947 წლის ბიუჯეტის გეგმასთან შედარებით 33.417 ათასი მანეთით იზრდება, ხოლო ფაქტიურ ხარჯებთან შედარებით 51.271 ათასი მანეთით.

საკეთილო დაწესებულებათა ინვენტარის შესაძენად საკირო თანხა არაკეკნტრალიზებულ კაპიტალურ დაბანდებათა ხაზით გადიდებულია გასულ წელთან შედარებით 5.537 ათასი მანეთით.

საკეთილო დაწესებულებათა შენობების კაპიტალურ რემონტზე გათვალისწინებულია 18.925 ათასი მანეთი, ანუ 1.475 ათასი მანეთით მეტი გასულ წელთან შედარებით.

ჯანმრთელობის დაწესებულებათა კაპიტალურ მშენებლობაზე დაიხარჯება 2.460 ათასი მანეთი, ხოლო სოფლად საავადმყოფოების მშენებლობაზე 715 ათასი მანეთი.

რესპუბლიკურ და ადგილობრივ კურორტებზე მიმდინარე წელს სულ 52.068 ათასი მანეთი დაიხარჯება, აქედან ბიუჯეტის სახსრებიდან 48.411 ათასი მანეთი, ანუ გასულ წელს დახარჯულ თანხაზე 13.923 ათასი მანეთით მეტი.

არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ 1947 წლის ბიუჯეტით კურორტების საქონიერებისათვის გათვალისწინებული თანხებიდან თვისებულ არ იქნა 5.066 ათასი მანეთი, მაშინ როდესაც ბევრ კურორტზე მრავალი გადაუდებელი სამუშაოა მშენებლობის, რემონტისა და კეთილმოწყობის დარგში.

სახელმწიფო სოციალურ უზრუნველყოფაზე ნავარაუდევია 1948 წლის ბიუჯეტით დაიხარჯოს 146.238 ათასი მანეთი, ანუ 2.183 ათასი მანეთით მეტი 1947 წლის გეგმასთან შედარებით და დახარჯულ თანხაზე 18.962 ათასი მანეთით მეტი.

პენსიებსა და დახმარებაზე დაიხარჯება 140.515 ათასი მანეთი, ინვალიდთა სახლების შენახვაზე 1.606 ათასი მანეთი, ინვალიდთა სწავლებაზე 800 ათასი მანეთი და პროტეზირებაზე 1.000 ათასი მანეთი.

სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებში ინვალიდ პენსიონერთა გაგზავნაზე დაიხარჯება 3.950 ათასი მანეთი.

საქართველოს სსრ 1948 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით ფიზიკური კულტურის ღონისძიებებზე დაიხარჯება 12.136 ათასი მანეთი, ანუ 1.814 ათასი მანეთით მეტი გასულ წელთან შედარებით.

ᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲮᲐᲠᲯᲔᲑᲘ

სახელმწიფო მმართველობის ორგანოებისა და სასამართლო ორგანოების შესანახი ხარჯები 1948 წლისათვის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ ბიუჯეტის პროექტში გათვალისწინებულია 156.502 ათასი მანეთის ოდენობით, ნაცვლად 160.540 ათასი მანეთისა 1947 წელს, ე. ი. 4.038 ათასი მანეთით ნაკლები. ხარჯების ეს შემცირება 1948 წელს სახელმწიფო მმართველობის ორგანოების შტატებისა და შესანახი ხარჯების 1947 წელში შეკვეცის შედეგია.

რევიზიის შედეგად გამოირკვა, რომ ზოგიერთი სამინისტროსა და ორგანიზაციაში აღგილი ჰქონდა სახელმწიფო სახსრებისადმი უყაირათო დამოკიდებულების ფაქტებს.

დაგეგმილ ღონისძიებათაფვის გათვალისწინებული სახსრების ანგარიშზე ადმინისტრაციულ-სამეურნეო ხარჯების ხაზით ხელოვნების საქმეთა სამართველომ დაუშვა 49,0 ათასი მანეთის გადახარჯვა, ეფსტიკის სამინისტრომ 53,0 ათასი მანეთი.

ᲡᲐᲥᲝᲜᲔᲑᲠᲝ-ᲡᲐᲠᲔᲕᲘᲖᲘᲝ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ

შემოწმების, კონტროლის და რევიზიას დიდი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციების მუშაობის ნაკლოვანებათა გამოსწორებისა და სახელმწიფო-საბიუჯეტო დისციპლინის განმტკიცებისათვის.

საქართველოში სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს საკონტროლო-სარევიზიო აპარატმა 1947 წელს ჩაატარა 4.935 რევიზია, ანუ წინა წლთან შედარებით 600-ით მეტი. რევიზიები შეეხო 3.997 სხვადასხვა სამეიუჯეტო ორგანიზაციას და 938 საწარმოსა და სამეურნეო ორგანოს. რევიზიების შედეგად გამოვლინდა სამეიუჯეტო-საფინანსო დისციპლინის დარღვევის ფაქტები და უკანონო ხარჯები 10.934 ათასი მანეთის ოდენობით, საწარმოების და სამეურნეო ორგანიზაციების მიერ ბიუჯეტში კუთვნილი თანხების შეტანის დაგვიანება 4.041 ათასი მანეთის ოდენობით, უკანონო ხარჯები გამოიწვა, მაგალითად, შემდეგმა ორგანიზაციებმა: ლენინფოთის რაიაღმასკომის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილებამ 44 ათასი მანეთი და განათლების განყოფილებამ — 35 ათასი მანეთი; წყალის რაიონული საავადმყოფოს მშენებლობაზე 1946 წლის ბოლოსათვის დარჩენილი 159 ათასი მანეთი, რაც ბიუჯეტში უნდა ჩარიცხულიყო, გადამალეს და 1947 წელს სხვა დანაშულებით გამოიყენეს. ასევე სარჩენის რაიონის სოფელ ჭალაში სკოლის მშენებლობაზე 1946 წლის დარჩენილი 101 ათასი მანეთი გადამალულ იქნა სამეურნეო ორგანიზაციებზე გადარიცხვით და დაიხარჯა 1947 წელს. უკანონოდ დაიხარჯა გეგმით გათვალისწინებელი მშენებლობაზე კინოთეატრების ბილეთების გაყიდვით შემოსული ფული ზუგდიდის რაიონში 90,5 ათასი მანეთი და ცხაკაიის რაიონში 39 ათასი მანეთი.

რევიზიებით გამოვლინდა სახელმწიფო სახსრების მითვისება: ფეზუტყტურისა და სპორტის სამმეთა თბილისის კომიტეტის სასპორტო ნაგებობათა სამმართველოში — 150 ათასი მანეთი, ქალაქ ფოთის საბაზრო კომიტეტში—130 ათასი მანეთი, ლანჩხუთის რაიაღმასკომის კომუნალურ განყოფილებაში—64 ათასი მანეთი და ზოგიერთ სხვა ორგანიზაციაში.

სახელმწიფოს თანხების მითვისებაში დამნაშავენი მიეცემიან ელენ პასუხისგებაში.

კელავ მოისუსტების საყწყენი კონტროლის მუშაობა.

ზოგიერთი სამინისტროები და ცენტრალური ეწყვეტები არადამაკმაყოფილებლად ასრულებენ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1946 წლის 23 იანვრის № 150 დადგენილებას, რომლის თანახმად ისინი მოვალენი არიან წელიწადში ერთხელ მაინც ჩაატარონ დაქვემდებარებულ დაწესებულებების, ორგანიზაციებისა და საწარმოების რევიზია.

სამართველოს სსრ განათლების სამინისტროს დაქვემდებარებული 150 ორგანიზაციიდან რევიზია გაუკეთა მხოლოდ 8-ს. სამინისტროებისა და ცენტრალურ ეწყვეტათა ხელმძღვანელებმა გადაჭრით უნდა გაამეორონ საკონტროლო მუშაობა და უზრუნველყონ ამ საკითხზე საკავშირო მთავრობის დადგენილების შესრულება.

სამართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროო მიიღეს საჭირო ზომებს საკონტროლო-სარევიზიო აპარატის მუშაობის ნაკლოვანებათა გამოსწორებისა და გაუმჯობესებისათვის.

სამმთა ბიუჯეტის სიმტკიცის შენარჩუნება და ბიუჯეტის ინტერესება მოითხოვენ სასტიკი ბრძოლა გამოეცხადოთ სახელმწიფო სახსრების უკანონოდ და უყაირათო ხარჯვას. სამინისტროებისა და ცენტრალურ ეწყვეტათა ხელმძღვანელებმა, ქალაქებისა და რაიონების ალმასკომებმა უნდა მიიღონ საამისოდ საჭირო ზომები.

ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲑᲘᲣᲯᲔᲗᲘ

1.287.945 ათასი მანეთის ოდენობით, რაც 46.348 ათასი მანეთით აღემატება 1947 წლის ადგილობრივი ბიუჯეტების მოცულობას.

ადგილობრივი ბიუჯეტების შემადგენლობაში პირველად არის წარმოდგენილი ქალაქ რუსთავის ბიუჯეტი.

ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებისა და რაიონების ბიუჯეტები 1948 წლისათვის პროექტით განსაზღვრულია შემდეგი ოდენობით:

აფხაზეთის სსრ	142.629	ათასი მანეთი
აჭარის სსრ	106.980	„ „
სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი	56.486	„ „
ქალაქი თბილისი	249.352	„ „
„ ქუთაისი	40.527	„ „
„ ფოთი	16.173	„ „
„ ჭიათურა	9.166	„ „
„ რუსთავი	3.397	„ „
ბაბუსის რაიონი	10.466	„ „
ადიგენის „	7.526	„ „
ამბროლაურის „	11.376	„ „
ასპინძის „	5.862	„ „
ახალქალაქის „	15.346	„ „
ახალციხის „	14.350	„ „
ახალციხის „	8.620	„ „
ბოგდანოვკის „	7.465	„ „
ბოლნისის „	9.452	„ „
ბორჯომის „	13.122	„ „
ვანის „	11.025	„ „
ვარდანის „	5.618	„ „
ვეშაპურის „	15.446	„ „
გორის „	27.299	„ „
გურჯაანის „	11.821	„ „
დმანისის „	9.752	„ „
დუშეთის „	13.399	„ „
ზემოსვანეთის „	6.937	„ „
ზესტაფონის „	16.418	„ „
ზუგდიდის „	24.660	„ „
ყაზბეგის „	5.351	„ „
ქარელის „	10.749	„ „
ქასპის „	12.818	„ „
კაჩარეთის „	6.889	„ „
ყვარლის „	9.502	„ „
ქვემოსვანეთის „	5.021	„ „
ლეწხორის „	11.525	„ „
ლუთაისის „	9.206	„ „
ლაგოდეხის „	12.667	„ „
ლანჩხუთის „	12.013	„ „
მარნეულის „	12.228	„ „
მახარაძის „	24.020	„ „
მაიაკოვსკის „	9.039	„ „
მცხეთის „	9.012	„ „
ონის „	10.315	„ „
ორჯონიკიძის „	10.865	„ „
საგარეჯოს „	9.222	„ „
სამტრედიის „	16.286	„ „
საჩხერის „	10.126	„ „
სიღნაღის „	14.539	„ „
თბილისის „	12.799	„ „
თელავის „	18.824	„ „
თეთრი წყაროს „	11.955	„ „
თიანეთის „	5.834	„ „
ტყიბულის „	11.101	„ „
ხამურის „	16.156	„ „
ხობის „	8.028	„ „
ცაგერის „	8.886	„ „
წალენჯიხის „	8.861	„ „
წალკის „	12.551	„ „
წიონეწყაროს „	8.543	„ „
წულეკიძის „	12.090	„ „
ცხაკაიის „	15.962	„ „
წყალტუბოს „	7.828	„ „
ჭიათურის „	9.181	„ „
ჩოხატაურის „	11.037	„ „
ჩხარის „	7.687	„ „
ჩხოროწყუს „	8.560	„ „
სულ რესპუბლიკაში	1.287.945	ათასი მანეთი

(დასასრული მე-4 გვერდზე).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მესამე სესია

საქართველოს სსრ 1948 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ

საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრის დეპუტატ რ. ა. კვირკველიას მოხსენება

(დასასრული)

საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტის საერთო მოცულობაში ადგილობრივი ბიუჯეტები 55,1 %-ს შეადგენენ. აქედან ცხადია, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ადგილობრივი ბიუჯეტების წარმატებით შესრულებას.

შარშან მთელ რიგ რაიონებში გადაჭარბებით შესრულდა ადგილობრივი ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი და ამ ჭარბი შემოსავლის ანგარიშში განხორციელდა ქალაქებისა და რაიონული ცენტრების კეთილმოწყობა, სამკურნალო დაწესებულებათა და სასკოლო შენობათა რემონტი და სხვა ღონისძიებანი.

ქალაქ თბილისის ბიუჯეტმა გასულ წელს 2 მილიონ მანეთზე მეტი ჭარბი შემოსავალი მიიღო, რაც ქალაქის კეთილმოწყობას მოხმარდა დამტკიცებულ ბიუჯეტს ზევით.

თელავის რაიონის ბიუჯეტით 2 მილიონ მანეთზე მეტი ჭარბი შემოსავალი დამატებით მოხმარდა კომუნალურ მეურნეობას და ქალაქის კეთილმოწყობას.

წარმატებით შეასრულეს 1947 წლის ბიუჯეტი აგრეთვე მახარაძის, ლაგოდეხის, ლანჩხუთის, ტყიბულის, ხაშურის და მთელმა რიგმა სხვა რაიონებმა.

ყველა აღმასკომი როდი აქცევს ჯეროვან ყურადღებას ადგილობრივი ბიუჯეტის შესრულებას, რის შედეგადაც 1947 წელს რიგ რაიონებში ამ მხრივ მნიშვნელოვან ნაკლოვანებებს ჰქონდა ადგილი.

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის 1947 წლის ბიუჯეტით შემოსავლის გეგმა ვერ იქნა შესრულებული ბრუნვის გადასახადში 3 მილიონამდე მანეთით და სასოფლო-სამეურნეო გადასახადში 260 ათასი მანეთით, ამავე დროს სახელმწიფო გადასახადებისა და შემოსავლის ნარჩენები ოლქში 1.170 ათას მანეთს შეადგენდა.

ბიუჯეტის სახსრების აუთვისებლობას აქვს ადგილი ადიგენის, ასპინძის, ახალქალაქის, ბოგდანოვკის, ბორჯომის, ზესტაფონის, კასპისა და მთელ რიგ სხვა რაიონებში.

ზოგიერთ რაიონში საკმაო ზომებს არ იღებენ საშემოსავლო წყაროების ამოწურვისათვის და ცდილობენ მიიღონ რესპუბლიკის ბიუჯეტიდან სესხი ან გეგმის გარეშე დოტაცია.

აჭარის ასსრ ფინანსთა სამინისტრო ხშირად ითხოვდა საფინანსო დახმარებას, მიუხედავად იმისა, რომ მას შესაძლებლობა ჰქონდა დაეფარა საჭირო ხარჯები საკუთარი შემოსავლის წყაროების მობილიზაციით. მაგალითად, 1947 წლის აგვისტოს ბოლოს მან მოითხოვა სესხი საფინანსო გარღვევის დასაფარავად, მაშინ როდესაც იქ 1.635 ათასი მანეთი ნარჩენები ირიცხებოდა.

რესპუბლიკური ბიუჯეტიდან გაუთვალისწინებელი დოტაცია მოითხოვეს მარნეულის, ხობის, მაიაკოვსკის და ზოგიერთმა სხვა რაიონებმა იმ გარღვევის დასაფარავად, რაც მათ ბიუჯეტის შემოსავლის შეუსრულებლობის გამო შექმნეს.

ადგილობრივი ბიუჯეტებით ხარჯების გაწევა პირდაპირ დამოკიდებული უნდა იყოს შემოსავლის გეგმის შესრულებაზე. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ 1947 წლის 16 ივლისს და 27 აგვისტოს მიღებულ დადგენილებებში დასახა ადგილებზე საბიუჯეტო მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებანი. მიუხედავად ამისა, სერიოზულ ნაკლოვანებებს ვხვდებით სასოფლო ბიუჯეტების შედგენის, განხილვისა და დამტკიცების საქმეში.

თეთრი წყაროს რაიონში 1947 წელს უხეშად იყო დარღვეული სასოფლო საბჭოების საბიუჯეტო უფლებები. მათი ბიუჯეტების შესრულების საქმე მთლიანად რაიფინგანში იყო გადმოტანილი.

სიღნაღის რაიონში 1947 წელს არ შემდგარა ქვემდებარე ბიუჯეტების შემოსავლის მოწესრიგების გეგმა. ძირეული ბიუჯეტებისათვის შემოსავლის ანარიცხები რაიფინგანმა თვითონ დააწესა რაიაღმასკომის დადგენილების გარეშე. ოქტომბერში კი ანარიცხების პროცენტების ოდენობა რაიფინგანმა კვლავ თვითნებურად შესცვალა.

ხელფასის დავალიანების შემთხვევები საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებებში ძირითადად მოსპობილია, მაგრამ ასეთ შემთხვევებს მაინც ჰქონდა ადგილი წალენჯიხის, დუშეთის, ახმეტის, კაჭრეთის, ხაშურისა და სამტრედიის რაიონებში.

დუშეთის და ახმეტის რაიონებში იყო შემთხვევები, რომ სასოფლო საბჭოების მუშაკებისათვის 3-4 თვის განმავლობაში ხელფასი არ მიუციათ.

საბიუჯეტო მუშაობის ხსენებულ ნაკლოვანებებში საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსაც მიუძღვის ბრალი, რადგან ადგილობრივი ბიუჯეტების შესრულებისადმი კონტროლი და ხელმძღვანელობა ჯერ კიდევ ვერ არის საკმაო. ყველა საჭირო ზომა იქნება მიღებული ამ ნაკლის გამოსასწორებლად.

სერიოზული ნაკლოვანებებია ადგილობრივი მრეწველობის განყოფილებებისა და რაიმრეწვკომბინატების სამეურნეო-საფინანსო საქმიანობაში.

მთელ რიგ რაიონებში იყო დიდი გარღვევები მათი საწარმოო გეგმების შესრულებაში და ზარალი.

ცხაკაიას რაიმრეწვკომბინატმა 1947 წლის 9 თვის მანძილზე 541 ათასი მანეთი იზარალა.

აღმასკომებმა გადამჭრელი ზომები უნდა მიიღონ ადგილობრივი მრეწველობის საწარმოთა მუშაობის გასაუმჯობესებლად, მათი სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის გასაჯანსაღებლად და ზარალიანობის აღმოსაფხვრელად.

სახელმწიფო სახსრების უკანონო და უყაირათო ხარჯვის ფაქტები, რაც რევიზიებით გამოვლინდა და რომელთა შესახებ უკვე მოგახსენეთ, მოწმობენ, რომ სათანადო აღმასკომები კონტროლს არ უწევდნენ ბიუჯეტის სახსრების ხარჯვას.

ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, საოლქო აღმასკომმა, ქალაქებისა და რაიონების აღმასკომებმა გადაჭრით უნდა გააუმჯობესონ მუშაობა ბიუჯეტის შესასრულებლად, უზრუნველჰყონ ბიუჯეტის შემოსავლის აუცილებლივ შესრულება, სასტიკი კონტროლი საბიუჯეტო სახსრების ხარჯვისადმი და მომჭირნეობის უმკაცრესი რეჟიმის გატარება, რაც ხელს შეუწყობს ადგილობრივი მეურნეობის შემდგომ განვითარებას, ქალაქებისა და რაიონული ცენტრების კეთილმოწყობის გაუმჯობესებას და მოსახლეობის გაზრდილ კულტურულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას.

ამხანაგო დეპუტატებო! საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 1948 წლის ბიუჯეტის პროექტი უპასუხებს ქართველი ხალხის სასიცოცხლო ინტერესებს და უზრუნველჰყოფს მეოთხე სტალინური ხუთწლედის მესამე წელს მის წინაშე მდგომი ამოცანების შესრულებას.

ქართველი ხალხის მორალურ-პოლიტიკური ერთსულოვნება, ბოლშევიკური პარტიის გარშემო მჭიდრო დარაზმულობა და მზადყოფნა შეასრულოს დიდი სტალინის ყველა დავალება—იძლევა იმის გარანტიას, რომ 1948 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმები წარმატებით იქნება შესრულებული.

1948 წლის ბიუჯეტის მიზანია უზრუნველჰყოს ყველა იმ ღონისძიების ნორმალური დაფინანსება, რომელნიც ხსენებული ამოცანების შესასრულებლად იქნება გატარებული.

1948 წლის ბიუჯეტმა ხელი უნდა შეუწყოს ფულის რეფორმის შედეგებისა და საბჭოთა მანეთის კურსის სიმტკიცის შენარჩუნებას, რისთვისაც საჭიროა პროდუქციის გამოშვების გადიდება, რესპუბლიკაში საქონელბრუნვის ფართოდ გაშლა და ხარჯებში ეკონომიის სასტიკი რეჟიმის განხორციელება.

მიმდინარე წლის სახალხო-სამეურნეო გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულება, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება და მისი გაიაფება, სახელმწიფო სახსრების მკაცრი მომჭირნეობით ხარჯვა ხელს შეუწყობს საბჭოთა მანეთის სიმტკიცის შენარჩუნებას, სახალხო მეურნეობის ახალ აღმავლობას, მეცნიერებისა და ხელოვნების უფრო მეტად აყვავებას და მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებას.

ქართველი ხალხი წარმატებით შეასრულებს 1948 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმებს და სახელმწიფო ბიუჯეტს. იგი კიდევ უფრო მჭიდროდ დაირაზმება კომუნისტური პარტიის დროშის ქვეშ და მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად გასწევს წინ ახალი გამარჯვებებისაკენ დიდი სტალინის წინამძღოლობით. **(მქუხარე ხანგრძლივი ტაში, ყველანი ფეხზე დგებიან).**

საკოორდინაციო კომიტეტში

ბერლინი, 19 მარტი. (საკდესი). საბჭოთა კავშირის წარმომადგენლის გენერალ-ლეიტენანტ დრატვინის თავმჯდომარეობით შესდგა საკოორდინაციო კომიტეტის მორიგი სხდომა. სხდომას დაესწრნენ გენერალი ჰეისი (ამერიკის შეერთებული შტატები), გენერალი ბრაუნჯონი (დიდი ბრიტანეთი) და გენერალი ნუარიე (საფრანგეთი).

განსახილველად კვლავ დაყენებულ იყო საბჭოთა წარმომადგენლის განცხადება კონცერნ „ი. გ. ფარბენინდუსტრის" ლიკვიდაციის საკითხზე. როგორც ცნობილია, ეს განცხადება უკვე ორჯერ იქნა განხილული საკოორდინაციო კომიტეტში და საკითხი გადაუწყვეტელი რჩებოდა იმის გამო, რომ ამერიკის, ბრიტანეთისა და საფრანგეთის დელეგაციებს არ სურდათ მიეღოთ პრაქტიკული ღონისძიებანი ამ კონცერნის ლიკვიდაციისათვის.

კონცერნ „ი. გ. ფარბენინდუსტრის" ლიკვიდაციის საქმე რომ გაჭიანურებინათ და საკონტროლო საბჭოს № 9 კანონის შესრულების ჩაშლა გაემართლებინათ, დიდი ბრიტანეთის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და საფრანგეთის წარმომადგენლები ორწელიწადნახევარზე მეტი ხნის განმავლობაში ყოველგვარ გამოგონილ საბუთებს მიმართავდნენ. ახლა მათ განაცხადეს, რომ № 9 კანონი საკმარისი არ არის და წინადადება წამოაყენეს მიღებულ იქნას „დამატებითი კანონი". მაგრამ საკონტროლო საბჭოს მიერ ერთხმად მიღებული № 9 კანონის სადისკრედიტაციოდ ნავარაუდევი ეს მანევრი გამოაშკარავებულ იქნა საბჭოთა დელეგაციის მიერ.

ამერიკელმა გენერალმა ჰეისმა კვლავ გაიმეორა თავისი ძველი წინადადება „ი. გ. ფარბენინდუსტრის" ლიკვიდაციის დარგში ზონების სარდლებისათვის მოქმედების თავისუფლების მინიჭების შესახებ.

საბჭოთა წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ წინადადება მთავარსარდლებისათვის მოქმედების თავისუფლების მინიჭების შესახებ ფაქტიურად არღვევს № 9 კანონს და აქეზებს ამერიკელ ხელისუფალთა მოქმედებას, რომელნიც თავიანთ ზონაში მთლიანად სტოვებენ კონცერნ „ი. გ. ფარბენინდუსტრის" და ამერიკის მონოპოლიების ინტერესებისათვის იყენებენ მას. პრესის ცნობებით, ამერიკელმა მთავარსარდალმა ამერიკის სამხედრო ადმინისტრაციის დეკარტელიზაციის განყოფილების უფროსს უბრძანა საერთოდ შესწყვიტოს დეკარტელიზაცია ამერიკულ ზონაში, რითაც უხეშად დაარღვია პოტსდამის კონფერენციის გადაწყვეტილებანი. ეს ბრძანება იმისაკენ არის მიმართული, რომ შენარჩუნებულ და განვითარებულ იქნას გერმანიის მონოპოლიები, აგრეთვე სამხედრო-სამრეწველო პოტენციალი დასავლეთ გერმანიისა, რომელიც იმპერიალისტურ დასავლეთის ბლოკში შეჰყავთ. საბჭოთა დელეგაციამ წინადადება შეიტანა ეკონომიურ დირექტორატს მოეთხოვოს № 9 კანონის პრაქტიკულად შესრულება და საკოორდინაციო კომიტეტისათვის ყოველთვიურ მოხსენებათა წარდგენა ამ კანონის შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

მაგრამ ბრიტანეთის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ინგლისელი ხელისუფალნი „ი. გ. ფარბენინდუსტრის" მიმართ თავიანთი შეხედულებისამებრ იმოქმედებენ. ამერიკის დელეგატი კი ამტკიცებდა, № 9 კანონი არ შეიძლება განხორციელებულ იქნას ამერიკულ ზონაში. შემდეგ მან წინადადება შეიტანა, რომ საბჭოთა ზონაში აღდგენილ იქნას კონცერნ „ი. გ. ფარბენინდუსტრის" ლიკვიდირებული სამხედრო საწარმოები და ამ საწარმოთა ლიკვიდაციის უწოდა ...ცალმხრივი მოქმედება.

ამრიგად, ამერიკისა და ბრიტანეთის წარმომადგენლებმა თავიანთი განცხადებებით ოფიციალურად დაადასტურეს საბჭოთა დელეგაციის მიერ წაყენებული ბრალდების სამართლიანობა. კონცერნ „ი. გ. ფარბენინდუსტრის" ლიკვიდაციის საკითხი ამჯერადაც გადაუწყვეტელი დარჩა.

სხდომაზე განხილულ იქნა აგრეთვე საკითხი იმ ქარხნების განაწილების, შეფასებისა და დემონტაჟის პროცედურის შესახებ, რომლებიც დასავლეთ ზონებიდან გადასახდელი რეპარაციების ანგარიშში უნდა იქნან შეტანილი. ბრიტანეთის წარმომადგენელი გენერალი ბრაუნჯონი დაჟინებით მოითხოვდა, რომ საწარმოთა შეფასება და მათი დემონტაჟი სწარმოებდეს ზონების სარდლების შეხედულებისამებრ, რაც ამ შემთხვევაში ძირს გამოუთხრიდა საკონტროლო საბჭოს ორგანოების პრეროგატივებს.

ბრაუნჯონის წინადადებას მხარი დაუჭირეს ამერიკისა და საფრანგეთის წარმომადგენლებმა.

საბჭოთა დელეგაცია არ დაეთანხმა ასეთ წინადადებას და საკითხი მოხსნილ იქნა დღის წესრიგიდან.

დიდი დისკუსია გამოიწვია საკითხმა გერმანიაში გერმანელ მოქალაქეთა პირადობის მოწმობების შესახებ.

საბჭოთა წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ყველა ზონის გერმანელ მოსახლეობას უნდა მიეცეს მთელი გერმანიისათვის ერთიანი პირადობის მოწმობები. ასეთი მოწმობები უნდა მიიღოს 15 წლის ასაკს მიღწეულმა ყველა გერმანელმა, აგრეთვე სხვა ეროვნებათა პირებმა, რომლებმაც გერმანიის მოქალაქეობა 1939 წლის 1 სექტემბრამდე მიიღეს.

ერთიანი პირადობის მოწმობების მიცემა გერმანიის მთელი მოსახლეობისათვის იმ ზონებისაგან დამოუკიდებლად, რომლებშიც იგი ცხოვრობს, შესაბამისი იქნებოდა გერმანელი ხალხის სურვილისა გერმანიის ერთიანობის დაცვისა და ერთიანი საერთო-გერმანული მოქალაქეობის შესახებ.

ამერიკის, ბრიტანეთისა და საფრანგეთის წარმომადგენელთა წინადადება, რომ გერმანელი მოსახლეობისათვის განკუთვნილი პირადობის მოწმობები მიეცეთ უცხოელებსაც და სხვა პირებსაც, რომლებიც გერმანელ მოსახლეობას არ ეკუთვნიან, საბჭოთა წარმომადგენლის მიერ კვალიფიცირებულ იქნა როგორც არასწორი, ვინაიდან ეს იმის მომასწავებელი იქნებოდა, რომ უცხოელები მიიღებდნენ გერმანელ მოქალაქეთა უფლებებს, რის გადაწყვეტაც მიზანშეწონილია მიენდოს გერმანიის მთავრობას. მეორე მხრივ, ის პირები, რომლებიც გერმანელ მოსახლეობას არ ეკუთვნიან და ომის დროს ადგილგადანაცვლებული მოქალაქენი არიან სხვა სახელმწიფოებისა, სამშობლოში უნდა იქნან დაბრუნებული. საჭიროა აგრეთვე მხედველობაში იქნას მიღებული, რომ ამ პირთა დიდი რაოდენობით ყოფნა გერმანიაში დამატებითი ტვირთია გერმანიის ეკონომიკისათვის, რაც სასურსათო მდგომარეობას აძნელებს და საბჭოთა ზონისთვისაც მთელ რიგ სერიოზულ სიძნელეებს ჰქმნის. ამიტომ საბჭოთა დელეგაციას არ შეუძლია დაეთანხმოს ასეთ წინადადებას.

საფრანგეთის, ინგლისისა და ამერიკის წარმომადგენლებმა თავი აარიდეს იმას, რომ გამოერკვიათ თავიანთი პოზიცია ყველა ზონის მოსახლეობისათვის ერთიანი პირადობის მოწმობების მიცემის საკითხში, გაილაშქრეს იმის წინააღმდეგ, რომ ერთიანი პირადობის მოწმობები მიეცეს მხოლოდ გერმანელ მოსახლეობას, და მოითხოვდნენ, რომ ასეთი დოკუმენტები მიეცეს გერმანიის ტერიტორიაზე მყოფ ყველა პირს, მათ შორის ადგილგადანაცვლებულ პირებსაც. შემდეგ საფრანგეთის წარმომადგენელმა, რომელსაც ინგლისელებმა და ამერიკელებმა დაუჭირეს მხარი, წინადადება შეიტანა საერთოდ ამ საკითხის დღის წესრიგიდან მოხსნისა და ზონების სარდლებისათვის მისი დამოუკიდებლად გადაწყვეტის უფლების მინიჭების შესახებ. სავსებით გასაგებია, რომ საბჭოთა დელეგაცია ამას ვერ დაეთანხმებოდა. საბჭოთა წარმომადგენელმა განაცხადა:

„საკონტროლო საბჭო უნდა სწყვეტდეს საკითხებს, რომლებიც მთელ გერმანიას ეხება. საკონტროლო საბჭოს ორგანოებში სწორედ ამიტომ წამოიჭრა საკითხი, რომ გერმანელ მოსახლეობას ოთხივე ზონაში მიეცეს ერთიანი პირადობის მოწმობები. წინადადება იმის შესახებ, რომ ამ საკითხის გადაწყვეტა ზონების სარდლებს მიენდოს, იმას გამოიწვევს, რომ ლიკვიდირებულ იქნება საერთო-გერმანული მოქალაქეობა და შემოღებულ იქნება ზონალური მოქალაქეობა. საბჭოთა დელეგაცია ასეთ წინადადებას ვერ დაეთანხმება".

რამდენადაც გადაწყვეტილების მიღება შეუძლებელი აღმოჩნდა, საბჭოთა წარმომადგენელმა განაცხადა, რომ იგი უფლებას იტოვებს ეს საკითხი ხელახლა აღძრას.

ჟაკ დიუკლოს გამოსვლა

პარიზი, 23 მარტი. (საკდესი). გაზეთი „სე სუარი" აქვეყნებს ჟაკ დიუკლოს სიტყვის მოკლე შინაარსს. „კომპარტიის მდივანმა და დეპუტატმა სენის დეპარტამენტიდან ჟაკ დიუკლომ, — სწერს გაზეთი, — რომელიც 21 მარტს ქალაქ ლავალში გამოვიდა მრავალათასოვანი აუდიტორიის წინაშე, ხაზგასმით აღნიშნა მარშალის გეგმის სტრატეგიული ხასიათი, რამაც გამოხატულება ჰპოვა დასავლეთ გერმანიასთან კავშირით, რათა განგრძობილ იქნას ომის პოლიტიკა ამერიკელ იმპერიალისტთა სურვილისა და ბრძანებათა შესაბამისად". „გასაგებია, — დასძინა დიუკლომ, — რომ იმ მომენტში, როცა შუმან-მეიერ-მოკის მთავრობა აპირებს გერმანელ ფაშისტებთან გაერთიანებას, უნდა ამოქმედდეს ის მეთოდებიც, რომლებსაც გერმანელი ფაშისტები იყენებდნენ", „დღეს აზრის თავისუფლება საფრთხეშია. დიდი მეცნიერი ჟოლიო-კიური საზიზღარ დევნას განიცდის დეგოლელებისაგან, რომელიც ფინანსური კაპიტალის ხელისუფლების ტიპიური წარმომადგენელია, იმ დროს, როცა ირენ ჟოლიო-კიური დაპატიმრა ამერიკის შეერთებული შტატების პოლიციამ, რომელმაც არავითარი პატივისცემა არ გამოიჩინა ამ ქალისადმი, ვისი მეცნიერული ნაშრომებით მსოფლიო მეცნიერება ამაყობს". შემდეგ დიუკლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ საჭიროა ყველა ფრანგის გაერთიანება, „რომლებსაც არა სურთ, რომ ადამიანის უფლებათა საფრანგეთი, დოლარის თვითმპყრობელთა კარნახით, გადაიქცეს იმ ქვეყნად, სადაც მოისპობა აზრის თავისუფლება ისე, როგორც ეს მოხდა გერმანელ ფაშისტთა ოკუპაციის დროს".

პოლონეთის სოციალისტური პარტია გამოვიდა საერთაშორისო სოციალისტურ კონფერენციათა კომიტეტიდან

ვარშავა, 23 მარტი. (საკდესი). დღეს გამოქვეყნდა ოფიციალური ცნობა, რომ პოლონეთის სოციალისტური პარტია გამოვიდა საერთაშორისო სოციალისტურ კონფერენციათა კომიტეტიდან. ცნობაში ნათქვამია:

„გუშინ პოლონეთის სოციალისტური პარტია გამოვიდა საერთაშორისო სოციალისტურ კონფერენციათა კომიტეტიდან. პოლონეთის სოციალისტური პარტიის გადაწყვეტილება პასუხი იყო 16 სოციალისტური პარტიის ლონდონის კონფერენციის პროვოკაციული გადაწყვეტილებისა, რომლებიც მიმართულია ჩეხოსლოვაკიის სოციალურ-დემოკრატიული პარტიის წინააღმდეგ და მუშათა ერთიანობის პოლიტიკის წინააღმდეგ, რომლის წარმომადგენლებიც არიან პოლონეთის სოციალისტური პარტია და იტალიის სოციალისტური პარტია.

საერთაშორისო სოციალისტურ კონფერენციათა კომიტეტიდან პოლონეთის სოციალისტური პარტიის გასვლა შეთანხმებული იყო სხვა მემარცხენე სოციალისტურ პარტიებთან".

მასობრივი მიტინგები გერმანიის ოკუპაციის საბჭოთა ზონაში

ბერლინი, 23 მარტი. (საკდესი). როგორც გაზეთი „ნოიეს დოიჩლანდი" იუწყება, გერმანიის ოკუპაციის საბჭოთა ზონის მეტწილ დასახლებულ პუნქტებსა და ქალაქებში 1848 წლის მარტის რევოლუციის ასი წლისთავის გამო შესდგა მასობრივი მიტინგები, რომლებზეც მოსახლეობამ აზრი გამოსთქვა გერმანიის ერთიანობისა და დემოკრატიზაციის სასარგებლოდ.

მიტინგზე ლაიფციგში გამოვიდა საქსონიის იუსტიციის მინისტრი დოქტორი კასტნერი. „თუ გერმანელი ხალხი, — განაცხადა დოქტორმა კასტნერმა,—ამ მომენტში ვერ გაიგებს, რომ ყველა უნდა ჩაებას დემოკრატიულ მშენებლობაში, მაშინ საფრთხეში ჩავარდება მშვიდობა არა მარტო გერმანიაში, არამედ მთელ მსოფლიოშიც".

შვერინში, მიუხედავად კოკისპირული წვიმისა, ქალაქის მრავალი მცხოვრები შეიკრიბა იმ მოედნებზე, სადაც მიტინგები სწარმოებდა. ქალაქ როსტოკის მიტინგში მონაწილეობა მიიღო 30 ათასზე მეტმა კაცმა. ალტენბურგში საზეიმო საღამო მოეწყო თეატრის შენობაში. ჰალესა და მაგდებურგში მოსახლეობა ქუჩებში გამოვიდა ლოზუნგით: გერმანიის ერთიანობისათვის. მაილინგენშტადტში ახლომახლო დასახლებული პუნქტებიდან ჩამოვიდა 80 დელეგაცია, რომლებმაც ამ მიზნით ზონალური საზღვარი გადმოლახეს.

„დეილი ექსპრესი" პროტესტს აცხადებს ამერიკის „დახმარების" წინააღმდეგ

ლონდონი, 23 მარტი. (საკდესი). „დეილი ექსპრესი" სარედაქციო სტატიაში აცხადებს, რომ ინგლისმა უარი უნდა სთქვას „დოლარის დახმარებაზე", თუ მას სიცოცხლე სურს. ამასთან სტატიის ავტორი იმოწმებს გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსში" რამდენიმე დღის წინათ დაბეჭდილ სტატიას, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ ინგლისზე, თუ იგი მიიღებს დახმარებას „მარშალის გეგმით", ზეგავლენას მოახდენენ, რათა უარი სთქვას ბრიტანეთის იმპერიისა და სტერლინგის ზონაში შემავალი სხვა ქვეყნების ბანკირობაზე. „ნიუ-იორკ ტაიმსი" „წინასწარმეტყველებდა, — ნათქვამია სტატიაში,—რომ ინგლისს მოუხდება ახალი და საშინელი ფასი გაიღოს „დოლარის დახმარების" განზრახული მეორე შეზხაპუნებისათვის.

„დეილი ექსპრესი" აღნიშნავს, რომ „ნიუ-იორკ ტაიმსის" სიტყვით, სახელმწიფო დეპარტამენტი ვაშინგტონში „იმუშავებს გეგმას, რომლის ძალითაც ამერიკა იკისრებს ეკონომიურ პასუხისმგებლობას, რაც ამჟამად ინგლისს აკისრია ავსტრალიაში, ინდოეთში, ახალ ზელანდიასა და ეგვიპტეში".

სტატიის ავტორი განაგრძობს: „თუ ეს გეგმა განხორციელდა, იგი ბრიტანეთის იმპერიის დასასრულის მომასწავებელი იქნება. ასეთი იდეების განხილვის ფაქტი აუცილებელს ხდის, რომ ინგლისმა ამ გვიან მომენტშიც კი უარჰყოს დოლარის დახმარების ყველა წინადადება, ვინაიდან მოვალის ბედი ყოველ წუთს სულ უფრო ნათელი ხდება. ინგლისს იმისათვის, რომ გადარჩეს, ესაჭიროება არა დოლარის დახმარება, არამედ მტკიცე გადაწყვეტილება — მალე გაიღოს ყოველგვარი მსხვერპლი, მაგრამ ასეთი დახმარება კი არ მიიღოს".

სტატიის ავტორი ჰგმობს ეტლისა და მის კოლეგებს — კაბინეტის წევრებს, აგრეთვე კონსერვატორებს იმისათვის, რომ ისინი ანგრევენ სტერლინგის ზონას. „თავიანთი რწმენის უქონლობით და უგუნურებით ამ ადამიანებმა სტერლინგის ზონას ისეთი ზიანი მიაყენეს, რომ ახლა სამხრეთ აფრიკის კავშირი აპირებს ცალკე სავალუტო სისტემის შექმნას და ეს ბევრი ჩვენგანისათვის სტერლინგის ზონის სრული დანგრევის დასაწყისი იქნება".

ჩინეთის სახალხო-განმათავისუფლებელი არმია ბრძოლებს ეწევა ნანკინისა და შანხაის მოსაზღვრე რაიონებში

შანხაი, 22 მარტი (საკდესი). პრესის ცნობით, საომარი მოქმედება ვრცელდება შანხაისა და ნანკინის მოსაზღვრე რაიონებში. სახალხო-განმათავისუფლებელი ჯარების რაზმებს იერიში მიაქვთ გომინდანელთა ჯარების გამაგრებული პუნქტების წინააღმდეგ მდინარე იანძის ჩრდილოეთ ნაპირზე. ნახევრადოფიციალურ ცნობებში აღნიშნულია, რომ ბრძოლა სწარმოებს ხაიმინსა და ნანტუნში, რომლებიც შესაბამისად 64 და 80 კილომეტრზე მდებარეობენ შანხაის ჩრდილო-დასავლეთით, აგრეთვე ლუხეში, 48 კილომეტრზე ნანკინის ჩრდილოეთით, და სხვა პუნქტებში. ნანკინიდან და შანხაიდან ბრძოლების რაიონებში სასწრაფოდ გაიგზავნა მაშველი ძალები.

ბრძოლა სწარმოებს აგრეთვე ხუნძეს ტბის რაიონში ნანკინის ჩრდილოეთით, ანხუეისა და ძიანსუს პროვინციების საზღვარზე. ანხუეის პროვინციაში ბრძოლა სწარმოებს ლინზისა და სისიანში.

შანხაი, 23 მარტი. (საკდესი). გაზეთი „დუნანჟიბაო" იუწყება, რომ სახალხო-განმათავისუფლებელმა ჯარებმა, რომლებმაც დიდი შეტევა დაიწყეს ბეიპინ-სუიუანის რკინიგზაზე, დაიკავეს ქალაქი იანკოუ და რამდენიმე სხვა სადგური კალგან-დატუნის რკინიგზის უბანზე. ამჟამად სასტიკი ბრძოლები სწარმოებს გუანლინისა და ვეისიანის რაიონში, რომლებიც კალგანის სამხრეთით მდებარეობენ.

რკინიგზის მოძრაობა ბეიპინსა და კალგანს შორის შეწყვეტილია, რადგან სახალხო-განმათავისუფლებელმა ჯარებმა ამ ხაზზე რამდენიმე ხიდი დაანგრიეს.

საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი

ჰააგა, 23 მარტი. (საკდესი). დღეს ჰააგაში შესდგა მსოფლიო პირველობაზე საჭადრაკო მატჩ-ტურნირის მე-9 ტური. ტურნირის მიმართ ინტერესი უფრო გაძლიერდა. დღეს დარბაზი გაჭედილი იყო ხალხით.

ერთმანეთს შეხვდნენ რეშევსკი და ბოტვინიკი, სმისლოვი და ეივე ესპანურ პარტიაში სმისლოვმა და ეივემ სწრაფად გააკეთეს პირველი 20 სვლა. მთელი რიგი გაცვლის შემდეგ პოზიცია გამარტივდა და დაიწყო დინჯი თამაში. თეთრების 41-ე სვლის შემდეგ პარტია გადაიდო.

რეშევსკი და ბოტვინიკი, პირიქით, ძალიან ნელა თამაშობდნენ. მათ დაიწყეს ამ ტურნირში პირველად გამოყენებული ჰოლანდიური პარტია. პირველ 13 სვლას მათ 3 საათი მოანდომეს. ბოტვინიკმა პაიკი შესწირა და კარგი ინიციატივა მოიპოვა. მოწინააღმდეგენი მწვავე და რთულ ვითარებაში მძიმე ცაიტნოტში ჩავარდნენ. ხარისხის დათმობის შედეგად ბოტვინიკმა ძლიერი იერიშის საშუალება მიიღო. ცაიტნოტში ბოტვინიკმა მუდმივი ქიშით დაასრულა ყაიმი.

9 ტურის შემდეგ ტურნირის ლიდერია ბოტვინიკი. მას 5 ქულა აქვს 7 პარტიაში. კერესსა და რეშევსკის — თით-თითო 7 პარტიაში, სმისლოვს—3 ქულა შვიდში. ერთი პარტია მას გადადებული აქვს. ეივეს ერთი ქულა აქვს 6 პარტიაში (ერთი პარტია გადადებული აქვს).

ხვალ სმისლოვი და ეივე გადადებულ პარტიებს გაითამაშებენ. ზეგ შესდგება უკანასკნელი, მე-10 ტური ჰოლანდიაში.

პასუხისმგებელი რედაქტორი ბ. ნანიტაშვილი

თეატრებში

25 მარტს: ოპერისა და ბალეტის — „კარმენი"; **რუსთაველის სახელობის** — „ღრმა ფესვები"; **მარჯანიშვილის სახელობის** — „რაც გინახავს ვეღარ ნახავ"; **მოზარდ მაყურებელთა ქართული**—„ბაში-აჩუკი".

კინოებში

25 მარტს: „რუსთაველი", „ოქტომბერი"— „მეზღვაურები"; **„ამირანი"** — „ნასრედინის თავგადასავალი"; **„კომკავშირელი"**—„ცისფერი გზები"; **„სპარტაკი"** — „რუსეთის საკითხი"; **26 კომისრის სახელობის** — „მეზღვაურები" (1-ლი დარბაზი).

სამტრესტის ლიქიორის ქარხანა უშვებს უმაღლესი ხარისხის დაძველებულ ლიქიორებს: კოლხიდას, ნუშს, კაკაოშუას, მოკოს, ვარდს და სხვ. პატარა ბოთლებით, სურებით და საიუბილეო ყუთებით, ლამაზად გაფორმებულსა და ქაღალდში შეხვეულს. აღნიშნული პროდუქციით მარაგდებიან სამტრესტის საფირმო მაღაზიები, „ოსობგასტრონომი", საზკვებტრესტი, თბილვაჭრობა და სხვა სავაჭრო ორგანიზაციები.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი აცხადებს, რომ ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე 1948 წლის 6 აპრილს, დღის 2 საათზე, ინსტიტუტის აუდიტორიაში (მელიქიშვილის ქ. № 16) მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად ექიმი **კონსტანტინე ივანეს-ძე ტოპორსკი** დაიცავს დისერტაციას თემაზე: **„Применение морских купаний при лечении больных с поражениями миокарда и гипертонической болезни на курорте Сочи-Мацеста".**

ოფიციალური ოპონენტები: მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ი. ცინცაძე** და მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი დოცენტი **მ. ხოდია.**

13 აპრილს, დღის 2 საათზე, იმავე აუდიტორიაში მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად ექიმი **ანტონ ისაიას-ძე ზვაზავა** დაიცავს დისერტაციას თემაზე: **„ვადაგადასული ბაქტერიოფაგის ღრმა პიოდერმიტების მასალები ალერგიის თვალსაზრისით".**

ოფიციალური ოპონენტები: მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ი. შელიძე**, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **გ. ანდღულაძე** და მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ვლ. ანთაძე.**

მსურველთ შეუძლიათ გაეცნონ შრომებს სამედიცინო ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში (თარხნიშვილის ქ. № 2).

დირექცია

ნ. რუსია, გ. კახნიაშვილი, ქ. წულეისკირი, ა. ჰაქვაძე, ფ. კოკვაძე, ბ. ანდღულაძე, ს. კოკაძე, ქ. ჯიქია, ი. კვანტალიანი, გ. გოგოძე იუწყებიან **ავრაფინა ქაჟუჩაიას** გარდაცვალებას.

ნადია კაშიბაძე შვილებით და სიძით შალვა მშველიძით იუწყება ძმის **ვლადიმერ ლუკას-ძე ავალიანის** გარდაცვალებას.

ლ. ბუჩუკური, ც. ჩადუნელი, დ მეგრელიძე, გ. კანდელაკი, ქ კვრეალიშვილი, ა. ბეთანელი, თ. ლაზრიშვილი იუწყებიან **მათიკო ზაქარიას ასულ ზაუტაშვილის** გარდაცვალებას.

წიკლაური, არაქელოვა, შენაბდე, ანთაძე, თავდიშვილი, მალანია, კორსანტია, გუჯაბიძე, ბაბუნაშვილი, ყურაშვილი, ჯობაძე, კირმელაშვილი, მანია, ცომაია, მაცუკაშვილი, რატნერი, მიხაილოვი, გოჩიაშვილი იუწყებიან **ალექსანდრე გიორგის-ძე ურუშაძის** გარდაცვალებას.

საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის თანამშრომლები იუწყებიან **ნატალია ვიქტორის ასულ ჯანელიძის** გარდაცვალებას

არკადი და ანეტ- ავალიანები შვილებით იუწყებიან ძმისწულის **ვლადიმერ ლუკას-ძე ავალიანის** გარდაცვალებას.

ავრაფენა და ნიკოლოზ ინთელვვები, პეტრე და გიორგი ქავთარაძეები შვილით გოგით იუწყებიან **ვარინკა სპირიდონის ასულ წერეთლის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 25-III სოფ. ცხრაწყაროში (ზესტაფონის რ.).

მშრომელთა დეპუტატების ლ. პ. ბერიას სახელობის რაისაბჭოს აღმასკომის თანამშრომლები იუწყებიან **დაფინა მახარაშვილი-გიორგობიანის** გარდაცვალებას.

მეუღლე იაკობ, შვილები მერი, ვერა, იაკობ, ივანე ოჯახებით იუწყებიან **სოფიო ანტონის ასულ დემურიშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 25-III, გამოსვენება 26-III, 5 ს. ტრამვაის შესახვ., 9.

შვილი ირაკლი, ბესარიონ, ცუცა, თინა ჯანელიძეები შვილებით იუწყებიან **ნატალია ვიქტორის ასულ ჯანელიძის** გარდაცვალებას. გამოსვენება 25-III, 6 ს. კობის ჩიხი, 4.

დ. მჟავანაძე, მ. მაჭავარიანი, ი. ღლონტი, ლ. აბზიანიძე, ლ. ცაგარელი, ქ ნაკაიძე, თ. ყავილაშვილი, ვ ფირცხალაიშვილი, ა. თელია, ვ. მაჭავარიანი იუწყებიან **კირილე ივანეს-ძე ხადრაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა ს. მერიაში.

გ. ა. ჯაბუა, გ. ნ. აბრამიშვილი, შ. ლომინაძე, ვ. ვარაზაშვილი, ა. ფირცხალავა, ი ცალკინი, ლ. ჯაყელი, შ. მეტრეველი, მ. გიორგობიანი, გ. ღლონტი იუწყებიან პროფესორ **ვლადიმერ ლუკას-ძე ავალიანის** გარდაცვალებას.

კოკა სალაყაია მეუღლით თინათი, შვილებით ევგენიათი და ანდრონიკეთი იუწყება **ვალიკო პოლიკარპეს-ძე ლორთქიფანიძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 25-III, 5 ს. რუსთაველის პრ-ტ, 33.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3-08-67, სამდივნოსი—3-06-88, განყოფილებებისა: პროპაგანდის—3-82-05, პარტიული ცხოვრებისა და საბჭოთა მშენებლობის—3-81-84, სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო-სატრანსპორტოსი — 3-80-83, კულტურის, ყოფაცხოვრებისა და ინფორმაციის—3-80-84, ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელისა და მშრომელთა წერილების — 3-73-24, მორიგისა და გამომშვების — 3-81-65, გამომცემლობის —3-51-81, სტამბის დირექტორის— 3-77-70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28. ტირაჟი 110,000 უე 00880